23 სექტემბერს. (5 ოქტომბერს) 1866. № 30. პირველი წელიწადი.

გაზეთის ფასი:

მგზავნით Ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ:	
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.	
10-ის თვისა	— 6 —	— — — 5 —	
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 —	50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —	

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

Ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

Ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება

პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინა-არსი: მმართებლობის განკარგულება.—ბრძანება სამხედრო სამინისტროში.—ბრძანება ყაზასიის სამხედრო ოკრუგში. ხოლერის ამბავი კავკასიაში. პოლიტიკა.—პეტერბურგი, 31 აგვისტოს.—ანგლია.—ამერიკა. სალიტერატურო ნაწილი.—პარიჟი ამერიკაში. ფელეტონი. მოგონება: მურძაყან ნაბერალის ცხოვრებიდამ. სახაზინო განცხადება.

დამატება:—ტელეგრამმები.

მმართებლობის განკარგულება.

ბრძანება სამხედრო სამინისტროში 16 ივლისს, № 216. სამხედრო რჩევამ ირაგულიარულის (განუწესიერებულის) ჯარის სამმართველოს წარდგენისამებრ დასდვა:

უნდა მიეცეს ნება რეგულიარულის (წყობილის) ჯარის მდაბალ-ხარისხის კაცებს, რომ ისინი დასახლდნენ უბანისა და მერგის საყაზახო მიწებზედ და აგრეთვე დაწესა, რომ იმათ შეეძლოთ მოპოება უძრავის საკუთრებისა იმ პირობით, რომ ამ ნება-რთვით გარეშე-ქალაქების მცხოვრებლებს არ დაემალოს საყაზახო ადგილებზედ დასახლება.

ეს დადებულება ამ წლის 9 ივლისს უმაღლესად დამტკიცდა.

ბრძანება კავკასიის სამხედრო ოკრუგში.

6 სექტემბერს 1866 წელს, ქუთაისს.

წარსულის ივლისის დამდეგს დაღისტნის მხარეს ტაბასარანის მაზრაში მოხდა უწესოება, რომელიც აღმოჩნდა და იმით, რომ რამოდენიმე ადგილობრივნი მცხოვრებნი დაეცნენ მაზრის სამმართველოს და იქ მდგომარე ქვეითის-ჯარის როტას.

დაღისტნის მხარის უფროსმა ღენერალ-ადუტანტმა თავადმა ველიქოვმა საჭიროდ ჯარის შეგროვებით და ადგილობრივის მილიციის გამოწვევით მოსპო ადგომა და ჩემის ბრძანებით სასტიკად დასჯა დამნაშავენი.—ადგომილის ხალხის მოთავენი ზოგი სიკვდილით დასჯეს და ზოგი ციმბირში გაგზავნეს. აულის შელიაგის მცხოვრებნი, რომელნიც სხვა მცხოვრებლებზედ უფრო მოწინააღმდეგედ გამოჩნდნენ, განშორებულს რუსეთის გუბერნიებში გადაასახლეს და მთელს მაზრას ხარჯი შეაწერეს.

მე განსაკუთრებით მესიამოვნა, რომ სხვა ადგილის მცხოვრმბლებს დაღისტანში ამ ადგომაში მონაწილეობა არ მიუღიათ და კიდეც სრულის გულს-მოდგინებით პირველისვე მოწოდებით გამოვიდნენ მილიციათ, რომ კანონიერს მთავრობას შეეწიონ აღრეულობის განსაქარვებლად და ისევ მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად. წინააღმდეგობა ისე დაჩუმეს, რომ იარაღი არ უხმარიათ.

ქეთილ-გონიერის და ენერგიულის განკარგულებისთვის ჩემს გულითადს დავალებას გამოუცხადებ დაღისტნის მხარის უფროსს ღენერალ-ადუტანტს თავადს მელიქოვს; აგრეთვე მადლობელი ვარ იმის მახლობელის თანა-შემწეებისა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა წინააღმდეგობის დამშვიდებაში: ღენერალს-მაიორს ჯემარჯიძეს, პოლკოვნიკებს, ქომაროვს და თავადს ჩიჯავაძეს და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს თავადს ჯორჯაძეს.—თანასწორ ვმადლობ დაღისტნის მხარის შილიციასაც.

ნამდვილზედ ხელმოწერილია: კავკასიის არმიის მთავარ-მმართებელი, ღენერალ-ფელდცეიხმეისტერი

მიხეილ.

ხოლერის ამბავი კავკასიაში. ადგილი ავათმყოფობა ხოლერითა აღმოჩნდა სუხუმში და ფოთში 30 და 31 აგვისტოს. შემდეგ ამ გვარივე შემთხვევა გამოჩნდა კიდევ 1 და 7 სექტემბერს, მაგრამ გადმდები არ ყოფილა; შავის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე პორტებიდამ რაც ხომალდები მოდიან, იმათ უველთვის კიდევ თვალ-ყურს ადევნებენ.

ამბავი რუსეთიდამ. ბრაფის მურავიევის სიკვდილზედ გაზეთში „პეტერბურგის უწყებაებში“ სწერენ შემდეგს დაწვრილებითს ცნობას, რომელიც არის უფრო ნამდვილი სხვა გაზეთებში დაბეჭდილს ამბებზედ.

ბრაფი მიიცვალა ღამით 28 აგვისტოს თავის სოფელში, რომელიც მდებარებს ლუგის უეზდში. წინადღეს, 28 აგვისტოს, ის ძალიან კარგათ იყო და აგრეთვე მოსვენებით დაწვა დასაძინებლად, როგორც სხვა დღეებში; მაგრამ მეორე დღეს ჩვეულებრივ დილის ექვს საათზედ მოსამსახურე შეეიდა ბრაფის საწოლს ოთახში გასაღვიძებლად. მოსამსახურემ ნახა თავის ბატონი ხალათ-ჩაცმული, რომელიც სტოლზედ იჯდა უსულოთ.

— „ჩრდილოეთის ფოჩტაში“ სწერენ: 3 სექტემბერს დილით 7 საათზედ პეტერბურგს სმოლენსკის მინდორზედ აღასრულებენ უზენაესის სამსჯაროს გადაწყვეტილებას, რომელმაც დააწესა, 1866 წელს 31 აგვისტოს, რომ სახელმწიფო დამნაშავეს დიმიტრი კარაკოზოვს უნდა ჩამოერთვას ყოველ გვარი სიმართლე და უნდა დაისაჯოს ჩამოხრჩობითა.

პოლიტიკა.

პეტერბურგი, 31 აგვისტოს. (რუსის ინვალიდიდამ).

ბერლინის სამინისტრო გაზეთი დიდის ამბით აცხადებს, რომ აღმოსავლეთის საქმემ შეიძლება კიდეც დაუშალოსო პრუსსიას ჩრდილოეთ-ბერმანიაში შინა-დაწყობილება, რომელიც უნდოდა იმას დაეარსებინა და ამ ჟამად კი არც აღმოსავლეთის საქმე გათავდება მშვიდობიანად. როგორც სჩანს, უკანასკნელი ამბებიც ამართლებენ ბერლინის გაზეთის აზრსა. ამ უკანასკნელს დროს კანდიიდამ იწერებიან, რომ დღე არ გაეა ისე, რომ კანდიელებსა და ოსმალოელებს შუა შეტაკება არ მოხდესო. როგორც სჩანს, ოსმალოელებსა და კანდიის დეპუტატებს შუა შერიგება არ მომხდარა, თუმცა თვით მფარველის სახელმწიფოების წარმომადგენლები შუამდგომლობდნენ ამ საქმეში. ახლა თვით გაზეთიც Patrie დიდის მეცადინეობით ურჩევს, რომ როგორმე საჩქაროდ დააბოლოონ დუნაის სამთავროების საქმე, რადგანაც შეიძლება, რომ იმის დაბოლოებით დამშვიდდეს მღელვარება აღმოსავლეთისკენ. იმის ფიქრით ეს მოაცილებს აღმოსავლეთის საქმეს აჩრდილს, რომელიც დასდგომია თავზედ ევროპას და აშფოთებს. ზოგიერთის გაზეთების სიტყვებით ეს აჩრდილი თან-და-თან იზრდება. ერთი ლონდონის გაზეთი ამბობს, რომ ათინიდამ მოვიდაო დეპეშა, რომელიც აცხადებს, რომ საბერძნეთის საკაროლო ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაშიაო; ყოველ-დღე და თითქმის ყოველ-საათს ელიან ხალხის ადგომას მთელს ევროპის ოსმალეთში. ის აგრეთვე უმატებს, რომ ანგლიის პირველმა მინისტრმა გრაფმა დერბიმ მიიღოო ტა საბერძნეთის უცხო ქვეყნის საქმის მინისტრისაგან. ამ ნოტაში საბერძნეთის მინისტრი მიაქცევს მფარველის სახელმწიფოების ყურად-ღებას იმაზედ, რომ საზოგადო მშვიდობიანობა და თვით ახალი კაროლის დინასტიაც (სახლობა) დიდს შიშია ჩავარდნილი და არ დარჩებიან ხელ შეუხებლად, თუ სახალხო მოძრაობაში, რომელიც მოხდა მთელს საბერძნეთში, ახლანდელი საბერძნეთის მთავრობამ და კაროლმა მონაწილეობა არ მიიღესო. ამისთვის საბერძნეთის მინისტრი თხოვნით მიაქცევა მფარველს სახელმწიფოებთან, რომ იმათ მიანიჭონ ყველა საბერძნეთის პროვინციებს, რომელნიც პორტის (ოსმალოს მთავრობა) მფლობელობის ქვეშ იმყოფებიან, აღმოჩრჩევითი კრებანი, რომ საეროდ ხმის მიცემით გადასწყვიტოს ამ მაზრებიმ მცხოვრებთა მდებარე ბედი, ან ისე დაებნეოდა თავალები, რომ ბ გ-ან ვერ გაარჩევდა და გ დონიდამ. როცა ვერ გაარჩევდა მასწავლებელი ავირაძე გაართუამდა სილას-სილაზე, რათ არ სწავლობო. ოთხი საათის მერე მურძაყანი აივიდა ბინაზე, აჭმევდნენ პურს, მაგრამ როგორ აჭმევდნენ! ხანდახან მისთანა კერძს მიუტანდნენ რომ მატლები ჯგუფ-ჯგუფათ ირეოდნენ, მაგრამ თუ კაცი იყო და არ ეჭამა! ბაბერილაძემ იცოდა პასუხის გება, თუ დაუწუნებდა ვინმე რასმესა. ამას გარდა, მურძაყანს თამაშობა უნდოდა; ისინი უშლიდნენ; მურძაყანს ბინაზე ფეხის დადგმა ენატრებოდა, არც ეს შეიძლებოდა უნებურად. მსრეთი იყო ღრიური ცხოვრება სასწავლებელში მურძაყანისა!! მღვდლისას კი ასე შევიწროებული არ ყოფილა! როგორც იყო რუსული წერა-კითხვა დაისწავლა მურძაყანმა; ამას გარდა რასაც მოითხოვდნენ პირველ კლასში, იმისაც გაიგო ცოტა რამ, ცოტა ქრთამიც დახარჯა ბაბერილაძესთან და ის გადვიდა შემდეგს კლასში.

ბაბერილაძე მერაბის მეგობარი იყო, მაგრამ მურძაყანს ძლიერ უწყრებოდა ხოლმე, უწყრებოდა სულ-უმიზეზოთ. მურძაყანი ჩიოდა დედასთან ამაზედ. ოლმა ოთხრა მერაბს ესა. „იმას სხვაზე უფრო მისთვინ უწყრება, რომ

მოგონება.

მურძაყან ნაბერალის ცხოვრებიდამ.

III.

მოაწია შობის დღესასწაულებმაც, მურძაყანი მოიყვანეს სახლში. ამ საკაი-დღეოთ მერაბმა გამოსცადა ისა,—ნახა მისი ცოდნა. იმას ძალიან გაუკვირდა, ასე უცებ ამდენი სწავლა როგორ მოასწროო (ოთხ თვეს ანბანის დასწავლა!). „აი, დედაკაცო, რაუცებ დაუსწავლია ანბანა ჩემ მურძაყანს, აი ჩემი ჭკუა! მართლა რომ თხის ჭკუა და დედაკაცისა ერთია! რომ დამეჯერებინა შენი სიტყვა და არ გამებარებიოს, ხომ არც ეხლა ეცოდინებოდა ანბანა!« შეჰყვირა მერაბმა თავის ცოლსა. დედაკაცმა არაფერი უპასუხა ამაზე, ალბათ ისიც გაკვირვებული იყო მურძაყანის ასე უცებ განათლებაზედ. ამის შემდეგ ადრინდელსავით ძაღლურად აღარ ეპყრობოდა მერაბი მურძაყანს. მურძაყანი და თავის გამდელი წავიდნენ თავის ჭესით: ეს იყო ზამთარი. დააგეს მახეები ჩიტებისთვინ; თითქმის მთელ დღეს ჩიტებს დასდევდნენ. ხოლმე ხანდი-ხან საკურდღლაოთაც წავიდოდნენ, მაგრამ ძვირათ; კაი დღეებიც თავდებოდნენ, მაშასადამე მურძაყანს მღვდელთან წასვლაც უახლოვდებოდა. ეს კი აწუხებდა ცოტათი იმას, მაგრამ

რა! მწუხარება რომ ვერ იხსნიდა, ეს კარგათ იცოდათვითონვე. ამისთვის კიდევაც ივიწყებდა იმას. გამოუცხადეს მურძაყანს წასვლა. შეშქაშებიც დაამზადა მერაბმა მღვდლისთვინ. ნათლიღების მესამე დღეს გაისტუმრეს მურძაყან ისევ მღვდლისას.

IV.

ამ დროს ზამთარი იყო. მღუდელი თავისუფლათ იყო და თითქმის არაფერი საქმე არ ჰქონდა; ამისთვინ უფრო გულმოდგინეთ აკითხებდა მურძაყანს წერგნსა. ოცტა ხანში მურძაყანმა დაისწავლა მხედრული წერა—კითხვა და ხუცური ანბანი. ოცტახანს შემდეგ ხუცურსაც გვარიანათ კითხულობდა.

როცა მოცლილი იყო მღვდელი, წიგნის კითხვების გარდა სულ სასწაულებზედ და ზღაპრებზედ ელაპარაკებოდა მურძაყანს. ამ ამბავებმა ძალიან გაიტაცეს მურძაყანის გონება. მღვდელიც ხარობდა. მურძაყანს მთელ დღეს რომ ესმინოს იმისი ლაპარაკი არ მოწყინდებოდა. მურძაყანი ხანდისხან ჩაუფიქრდებოდა ხოლმე მღვდელის ნაამბობს. იმათ სიმართლეს, თუ სიმრუდეს, რასაკვირველია, ვერ გადაწყვეტდა. ის მხოლოდ შინდებოდა იმ ანბებით. აქ მურძაყანმა განიზრახა ბერათ წასვლა; მაგრამ ჯერ წლოვანება ნებას არ აძლევდა შეესრულებინოს თავისი სურვილი. მოვიდა დროც, როგორც მერაბმა სთქვა, გამოიყვანეს მურძაყანი მღვდლიდამ ბაბერილაძის სასწავლებელში მისაცემად.

V.

იმ არეში, სადაც მერაბი სახლობს, ბაბერილაძის სასწავლებელია. სხვაგან წასასვლელი გზა არ არი, ვისაც კი უნდა ისწავლოს რამე. ის არის დაყოფილი, რა საკვირველია, კლასებათ, მოწაფეებს შიგ ღებულობენ ბინათ და მოსიარულეთაც. მერაბი ცხადია იქ დააყენებდა თავის შვილს, სადაც უფრო შიშ ქვეშ შენახული იქმნებოდა, ამისთვის დააყენა შიგ სასწავლებელშივე ბინათ, სადაც მთავრობდა ბაბერილაძე. ბევრი ნორჩი გონება გაუფუჭებია ბაბერილაძეს და იმის სასწავლებელს. ჩვენ თუ ცოცხალი ვიქმნებით ამ სასწავლებელზე უფრო ვრცლათ მოგელაპარაკებით, მკითხველო. ახლა მხოლოდ ამაზე გაკვრით ვილაპარაკებთ, ე. ი. მხოლოდ იმას, რაც მურძაყანს შეეხება რაშიმე, რადგან ჩვენ ვიგონებთ მხოლოდ მარტო მურძაყანის სიყმაწვილეს. ასე, მურძაყანი შეიყვანეს ბაბერილაძის სასწავლებელში. მურძაყანს ბევრათ ერჩია მღვდლისას ყოფნა. ოთხის საათიდამ ის რუსულს ანბანზე იჯდა, კითხულობდა მანამ ნამეტანი ჩაჩერებით

რებლებმა თავისი მომავალი ხვედრი. ამ ამბებით ძალიან შეშინებულია ვენის გაზეთი და მოიხსენებს აგრეთვე რუსეთს და ამერიკასა, რომელთაც იმის ფიქრით კიდეც შეუკრავთ ერთი ერთმანეთში ჩუმი კავშირი ამ საქმისათვის. „ახლანდელს აღრეულობას ისიც დაემატა, რომ ამერიკის ხომალდი მიადგა ქანდიის კუნძულზედ. ამტკიცებენ, ვითომც ამერიკას ჰქონდეს მონაწილეობა იმ საიდუმლო მოლაპარაკებაში, რომელიც წინათ შესდგა ოსმალოსა და მგვიპტის ვიცე-კაროლს შუა ქანდიის კუნძულის გასყიდვაზედ. ამ ჟამად ამერიკამ იყიდა მელოსის კუნძულის ნაწილი იმ განზრახვით, რომ საშუალ-ქვეყნის ზღვაში ფეხი მოიმაგროს. აგრეთვე ჩვენ უბრალოდ არ მოვიხსენებთ იმ ამბავს, რომ ამ ბოლოს დროს ვაშინგტონი (რომელიც არის ამერეკის შეერთებულის შტატების დედა ქალაქი) და პეტერბურგი ხმა მაღლა არწმუნებდნენ ერთი ერთმანეთს მეგობრობაში, მაშინ როდესაც ეს-ეს-არის ცეცხლი უჩნდება აღმოსავლეთის საქმეს. ბანა საკმაო არ არის ამ გვარნი გარემოებანი, რომ სრულებით დავრწმუნდეთ იმ დიდის შემთხვევის ჩქარად მოვლენაზედ, რომელიც აწ მიგველის! ამ სიტყვებით აცხადებს ვენის ბაზეთი თავის აზრებს. ცხადია, რომ ის ძალიან ჩქარობს თავის სიტყვებში, მაგრამც იდეც უფრო შესანიშნავი ის არის, რომ სხვა გაზეთებიც ამ გვარათვე აცხადებენ თავიანთ შიშსა და ეძებენ ახალ-გვარად შეაკავშიროს ევროპის სახელმწიფოები ერთი ერთმანეთში. გაზეთს Journal de Debats ამ რიგათ უნდა შეათანახმოს სახელმწიფოები, რომ ფრანციამ მიიღოს ისევ თავის შესაფერი მდგომარეობა აღმოსაელეთის აღრეულობის დროს. ზემოხსენებულს გაზეთს უნდა, რომ რუსეთის გაელენას აღმოსაელეთზეთ საზღვარი დაუდვას. ზემოხსენებულს გაზეთს სურს, რომ ოთხი დიდი ხალხი დასავლეთის ევროპისა ერთმანეთს შეუკავშირდნენ. იმას უნდოდა, რომ ანგლიამ, ფრანციამ, იტალიამ და პრუსსიამ დასტოვონ თავიანთი იჭვნეულობა ერთი ერთმანეთზედ და შეერთნენ მეგობრულის კავშირითა. ამ გვარი მეგობრობა ძალიან გააძლიერებდა იმათს შეძლებულებას და თვითოეულს იმათგანს მიანიჭებდა დიდს დამოუკიდებლობას. თუ პრუსსიამ უარი თქვა ამ გვარს კავშირზედ მაშინ მომავალი ხალხების ურთიერთობითი განწყობილება დაარსებს იმ გვარს შედგენილებას, რომელშიაც პრუსსიის ყოფნა არც კი იქნება საჭირო. იგივე გაზეთი ამბობს, რომ პრუსსიის გაძლიერება ყოველის მხრით არ არისო ბერმანიისთვის სასარგელო. უმეტესი ნაწილი ბერმანიისა პრუსსიამ ჩანთქა და, თუმცა ერთის მხრით ბევრი მოიგო, მაგრამ მეორეს მხრით ბევრიც დაეკარგა. იმან მოიგო ერთობა და ერთ-გვაროვნება, მაგრამ ამის მაგივრად დაჰკარგა ადრიატიკის ზღვის პირი. ფრანციას ორის მხრით საზღვრავს ნემეცისა და საშუალ-ქვეყნის ზღვა აგრეთვე ბერმანიაც აქამომდე ისაზღვრებოდა ნემეცის და ადრიატიკის ზღვითა. იმათ ორივეს ამ შემთხვევაში მთელს დედამიწის ზურგზედ საუკეთესო ბეოგრაფიული მდებარება ჰქონდათ. ამგვარი მდებარეობა ახლა აქვს მხოლოდ ფრანციას; ბერმანიამ კი ავსტრიის განშორებით სრულებით დაჰკარგა ადრიატიკის ზღვა და ვერა ოდეს ველარ მოიპოებს. ამიერიდგან ის ველარ მისწვდება საშუალ-ქვეყნის ზღვას; აღმოსაელეთის საქმე კი ამისთანა დროს ლამის განახლებას და სუეზის არხსაც თხრიან. ძალიან დიდი საჭიროა ოთხის ევროპის სახელმწიფოსთვის, რომ იმათ ექნეთ თავისუფალი მსელელობა აზიაში. ეს საჭიროება ისე დიდია, რომ ოთხმა სახელმწიფოებმა უნდა დაამყაროს კავშირი ერთმანეთში. ეს კავშირი არის საჭირო ანგლიისთვის, რომ ის ამით შეაყენებს რუსეთის ძლიერებას, ავსტრიისათვის, იმიტომ რომ იმან უნდა გზა გაიხსნას აღმოსაელეთისკენ, რადგანაც ბერმანიაში ფეხი აღარ უდგა; აგრეთვე იტალიისთვისაც, რადგანაც იმან უნდა მოსძებნოს უწინდელი გზა თავის ვაჭრობისათვის; და ფრანციისთვისაც, რადგანაც იმან უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ახალს მოძრაობაში აზიისა და ავსტრალიისკენ. ბერმანიელები კი უნდა დარჩნენ ამ საქმეში შორის მჭვრეტელებად, რადგანაც პრუსსიის გამარჯვებამ ისინი მისწია ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვებისკენ. ფრანცია, ანგლია, და იტალია თვითოეულნი მოიპოვებენ იმისთანა დიდს სარგებლობას, რომ ისინი უფრო და უფრო უნდა შეკავშირდნენ ერთი ერთმანეთში, რომ დასძლიონ რუსეთი, თუ ვინიცობაა იმან წინაღმდეგობა აღმოაჩინა თავის მხრით. ზემოხსენებულიევე გაზეთი ამბობს რომ ამ გვარის კავშირის დამყარება შორს არ არისო, რადგანაც ფრანციის ელჩი, რომელიც იყო დანიშნული სულთანის ქარზედ, გახდა უცხო ქვეყნის საქმის მინისტრად ფრანციაში.

ანგლია. ანგლიის პოლიტიკა აღმოსაელეთის საქმეში. ლონდონიდამ სწერენ 6 სეკტემბერს შემდეგს ამბავს ერთს ნემეცურს გაზეთსა: „თუმცა თქვენი გაზეთი იჭვნეულობდა, რომ ვაი თუ ანგლიის მმართებლობამ ურჩიოს ოსმალოს მთავრობას, რომ ის მოიქცეს დიდის სიფრთხილითა და თუ გასჭირდა, კიდეც დაათმენინოს კუნძული ქანდია საბერძნეთისათვის. გამოჩნდა, რომ მართლაც ისე იქცევა ანგლიის მმართებლობს, რომ დიპლომატიურს გზით მიაღებინოს ოსმალოს მთავრობას ამ გვარი რჩევა. ეს კიდევ არაფერი; დერბის სამინისტრო ამ საქმის გარდა კიდევ სხვაშიაც აპირებს თავის გამოჩენას. ამბობენ რომ იგივე სტენლი, რომელმაც აღმოსავლეთის საქმეში უარყო თავისის წინაპრების გზა და გამოაცხადა თავისუფლებაზედ თანაგრძნობა, იგივე სტენლი ამზადებსო სარეფორმო ბილლსა, რომელიც გააკეირვებს იმის მომხრეებს და ჩაგდებს გაჭირვებულს მდგომარეობაში იმის მოწინააღმდეგებს, რომელნიც აქამომდე ხალხს აჯერებდნენ, რომ ტორის სამინისტრო არაოდეს არავითარს გასამჯობინებელს ცვლილებაზედ არ დასთანხმდებაო.—მართლაც დერბის სამინისტრომ კარგათ იცის, რომ იმის მდგომარეობას ფეხი მაგრად არ უდგა და ამისთვის არამც თუ ცდილობს, რომ სარეფორმო ბილლი გაამზადოს, არამედ კიდეც ემზადება ყოველის ღონის-ძიებით ახალს აღმორჩევისათვის, რომელიც მალე უნდა მოხდეს ანგლიაში. აღმოსაელეთის საქმე ძალიან კარგი საშუალებაა, რომლითაც დერბის სამინისტროს კიდევ შეუძლიან ხალხის გული მოიგოს. დიდი ხანია ჩაჩუმდა ანგლიაში ის თანაგრძნობა ოსმალოელებისადმი, რომელიც აღმოაჩინეს პალერსტონმა და ბევრმა ახალ-გაზდა ანგლიის სახელმწიფო კაცებმა. ყველაზედ უფრო დიდი გაელენა ანგლიის პოლიტიკაზედ ოსმალოს საქმის შესახებ აქვს ერთს მაღალს სახელმწიფოს პირსა. ტორებს დიდი იმედი აქვთ ვალისის პრინცზედ, რომელიც არის ვიკტორიის მემკვიდრე. იმათ ჰგონიათ, რომ ვალისის პრინცი ისევ აღადგენს ანგლიის ძველის თავად-აზნაურობის ღირსებას. ვალლისის პრინცს უნდა, რომ როგორმე თავისი და, ლუიზა, შეერთოსსაბერძნეთის კაროლსა. ამბობენ, რომ პრინცი და ტორიები ასეთის მოწადინებით მოქმედებენ, რომ კაროლევა კიდეც დასთანხმდაო ამ გვარს ქორწინებაზედ, მაგრამ ის ითხოვსო რამოდენისამე პირობების აღსრულებას. უ. გლადსტონი გაგზავნეს საბენძნეთში და იმან უნდა შეიტყოს დაწვრილებითი ამბავი აღმოსაელეთის საქმეზედ. თუ გლადსტონი დასაკმაყოფილებელს ამბავს წარმოადგენს, მაშინ დაქორწინებაც მოხდებაო. ამის შემდეგ ძნელი გასაგებიც არ არის, თუ ტორებს რისთვის უჭირავთ ბერძნების მხარე. ფიქრობენ, რომ ქრისტიანები შედგენათ გამზადებულნი არ ვრიან, რომ საშოგადო განდგომილება მოახდინონ; ქანდიის განდგომას ისე უყურებენ, ვითომც ის მარტო საბერძნეთს შეეხებოდეს.

ამერიკა. პრეზიდენტი ჯონსონი, 29 აგვისტოს, მივიდა ქალაქს ნუ-იორკს და იქაური მცხოვრებლები მიეგებნენ იმას დიდის აღტაცებით. ჯონსონს თან ახლდა მინისტრი სუარდი, ღენერალი გრანტი და ადმირალი ფარრაგუტი. ქალაქის მთავრობამ მიართვა იმას ადრესი, რომელშიაც ისინი აცხადებენ თანაგრძნობას პრეზიდენტის პოლიტიკაზედ; ფილადელფიის ქალაქში კი არავინ არ მიეგება იმას და ცხადათ სჩანდა, რომ ხალხს არ მოსწონს იმისი სახელმწიფო განკარგულებანი. ნუ-იორკის შტატის სენატს უნდოდა, რომ საზოგადოთ მიელოცნა პრეზიდენტისთვის, მაგრამ ბევრი სენატორები არ დათანახმდნენ და წარმოსთქვეს, რომ ნუ-ორლეანის სისხლის ღვრას იმან ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციაო და იმ გვარად იქცევა, რომ შეიძლება ისევ ხელახლა აღიძრას შინაგანი ბრძოლა. პატივცემულმა ნუ-იორკის მოქალაქეებმა პრეზიდენტის პატივის-საცემად შეადგინეს ბანკეტი (ბრწყინვალე სადილი) ნუ-იორკში. ჯონსონი დაესწრო ამ ბანკეტზედ და წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც იმან გამოაცხადა, რომ მე შეურყეველად განვაგრძობ იმავე პოლიტიკას, რომელსაც აქამდის მივსდევდი და აღვადგენო კავშირს. უ. სუარდმა აგრეთვე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის შეეხებოდა გარეშე-პოლიტიკის საქმეებს. „ჟურნალებს უნდათ, რომ ომი გამოუცხადოთ მეხიკას, ისპანიას და ანგლიას. მე თანახმა ვარ აღვძრა ყოველ გვარი ომი, მაგრამ ის კი არ მინდა, რომ ბრძოლის ველზედ ფეხ-მოტეხილი გამოვიდე. (აქ სუარდი გადჰკრავს იმაზედ, რომ სამხრეთის შტატები ჯერ კიდევ არ არიან კავშირში მიწოდებულნი). მოხუთმეტლად მოველი იმ დროს, როცა ორივე ფეხები გამიმთელდებიან“.

პარტიებს შორის ბრძოლა ამერიკის შეერთებულს შტატებში. ამ ბრძოლის დაწყების ნიშნად შეიქნა ფილადელფიის კონვენტი. აი, რა ამბებს გვაცნობებენ ნუ-იორკიდამ. „ბასაკვირველია, რა ნაირად უეცრად ასტყდა ცხარი ბრძოლა პოლიტიკურს პარტიებს შუა. ორის კვირის წინათ ყოველგან მშვიდათ და წყნარად იყვნენ; თავშიაც არავის მოსდიოდა პოლიტიკა. კონვენტმა გააღვიძა პარტიები და ისინი ასეთის სიცხარით ეძგერნენ ერთმანეთს, რომ ამისთანა შეტაკებას გაფუჭებულად, მაგრამ უნებურათ გაიფიქრებდა ხოლმე სხვა და სხვა ცრუ მორწმუნებებზედ, რომლებითაც იმას სავსე ჰქონდა თავი; თან ეშმაკსაც გადააფურთხებდა, რათ შეეცდი, რა ჩემი საქმეა ამაზე ფიქრიო, მაგრამ ერთხელ დათესილი თესლი მურძაყახის თავში თან-და-თან უფრო აღმოცენდებოდა. წინა-აღმდეგი ფიქრები ვერ აქრობდნენ იმას. დასტოვა მურძაყანმა სირცხვილი და შიში; დაუწყო საქმეს ეჭვით შეხედვა, მიეჩვია კრიტიკას, ბოლოს დარწმუნდა თავის გზის სიყალბეზე და დაბნეულობაზე ამ კრიტიკის ძალით, მას გაუდრკა გული სრულიად. ღონე უკან მურძაყანმა, ნახა საქმე ცუდათ იყო; გამოჩნდა ბევრი დრო დაკარგული და გაკეთებული კი არაფერი. ინანა ბევრი, მაგრამ სინანული რაღას მოეხმარებოდა. ბაბერილაძის სასწავლებელში დარჩენა იმას აღარ შეეძლო, რადგან ხელს არ აძლევდა. ის გრძნობდა საჭირო იყო სხვა საშუალება თავის ცხრა წლის დაბლაგვებულის ტვინის გასასხნელათ. მურძაყანი შეუდგა კიდეეც ამგვარს ახალს გზასა.

ჩვენის მხრით მურძაყანისთვის საგძლათ გავიტანებია წარმატების სურვილი; მერაბის თვით-ნებისა და მღვდლის, და ბაბერილაძის სასწავლებლების დაფასება კი მკითხველებისთვის მიგვინდვია.

რადგან ის ჩემი, მეგობარია სხვაზედ მისი უფრო შეჭირს,“ ბადაწყვიტა მერაბმა. მურძაყანს ძალიან შეძაგდა ბაბერილაძის სასწაყლებელი. ბევრს რასმე ფიქრობდა, მაგრამ ვერა ხერხებდა ამისთვინ რომ არ ნებავდა მერაბს, და რაც მერაბს არ ნებავდა მის სახლეულებაში, ის საქმე არ გაკეთდებოდა; ესრეთმა მდგომარეობამ და მღვდლის ჩანერგულმა ჰაზრებმა ბერობაზედ თითქმის სრულიად ხელი ააღებინეს მურძაყანს სწავლაზედ, სალმრთო წერილს კი გვარიანათ სწაველობდა; კლასიდამ კლასში გადადიოდა ყოველ გამოცდის დროს. როგორ თუ არა ფერს სწავლობდა?—იქმნება მკითხო, მკითხველო. ბაბერილაძისგან ეს გასაკვირველი საქმე არ იყო. როცა გამოცდის დრო მოაწევდა, მურძაყან მისწერდა მერაბს წიგნსა: „ბაბერილაძეს ფეშქაში გამოუგზავნე და სთხოვე ჩემი შემდეგ კლასში გადაყვანა, თორემ ისევ ამავე კლასში დამაგდებენ მეორე წელს, რომელშიაც ვარო“. მერაბი წაიკითხავდა ამ წიგნს. იმას, თავის უზდელობის გამო, ამ წიგნის გარჩევა არ შეეძლო. ის ხედავს მხოლოდ იმას, რომ ორ წელიწადს რომ დარჩესო ჩემი შვილი, როგორც ფულს, ისე მეტს დროს დაჰკარგავსო. იმას ეგონა, როგორც თვითონ არც მტერს და არც მოყვარეს უქრთამოთ არაფერს სამართალს მისცემდა, ბაბერილაძეც მისთანა უნდა იყოსო (არც სცდებოდა ამ უკანასკნელს დასკვნაში). ამ მიზეზებით მერაბი გაუგზავნიდა თავის შვილს, იმის წერილისამებრ ბარათს და ცოტა ფეშქაშს ბაბერილაძეს, რომელსაც თავცარიელი მურძაყანი გადაჰყავდა ერთი ოთახიდამ მეორეში.

მურძაყანი რაც იზრდებოდა, ისე თან და თან ღრმათ ვარდებოდა ბერობის სურვილში; ბოლოს იქამდინ ავიდა მისი ბერობის სიყვარული, რომ ყველა კი სძაგდა, ვინც ბერი არ იყო, ან ბერობა ძრიელ არ მოსწონდა. ერთი სიტყვით გაფანატიკადა. მურძაყანიც კი ისეთს წრეში სცხოვრებდა, სადაც მოჩვენება ჭეშმარიტებად მიაჩნდათ. ამგვარს ხალხს იმაზედ დიდი ზედმოქმედება ჰქონდა. ზედ-მოქმედება მისთვინ ქონდათ, რომ იმაზედ უფრო დამდგარნი იყვნენ ისინი. ეს თავის უპირატესობა იმათ მოიხმარეს ბოროტად. მურძაყანი გახადეს პირმოთნედ, ე. ი. ალაპარაკებდნენ იმას, რაც თვითონ იამებოდათ!.....

185.... მოკვდა მურძაყანის მამა. დარჩა მურძაყანი თავის თავის ბატონი, ახლა აღარავინ ჰყავს იმას შემავიწროებელი. რამდენისამე დღის მერე მამის სიკვდილისა, დასტოვა სასწაველებელი, ე. ი. თვით სასწაველებელში აღარ ისურვა, რომ ბინა ჰქონოდა და თუმცა შიგ სასწაველებელში აღარ ცხოვრებდა, მაგრამ სასწაველებელში კი ისევ დადიოდა: იმან სწავლაზედ სულ ხელი აიღო და ამ სიარულითაც არა გამოდნარა; სასწაველებელში მარტოკა წაღების საცვეთად დადიოდა. მხოლოდ იმას დარჩა ერთი ბერობა ნუგეშად შემდეგ ცხოვრებაში და ამის მეტი არა უნდოდა რა ქვეყანაზედა. მურძაყანი რომ ამ მდგომარეობაში იყო, მაშინ ის გაიცნო ერთმა ყმაწვილმა კაცმა. ეს გაცნობა არიყო ხანგძლივი. მაგრამ რაც ხანი ერთად იყვნენ, ლაპარაკი კი სულ თითქმის ერთ საგანზე ჰქონდათ. ეს საგანი იყო ბერობა. ყმაწვილი კაცი უფრო ეჭვით უყურებდა ამ საგანს. მურძაყანი ვერც იმას მოიფიქრებდა, თუ ეჭვით შეხედვა შეიძლებოდა იმ საგანზედ. მურძაყანს ყოველის ფერი გაგონილი, თუ წაკითხული წმინდათ მიაჩნდა; კრიტიკულათ ის არაფერს არ შეხედვიდა. ყმაწვილი კაცი ცოტა ხანს იყო იმასთან, როგორც ესთქვით, მაგრამ გაელენა კი ჰქონდა იმის სიტყვებსა მურძაყანზე, განსაკუთრებით მერე-და-მერე. მურძაყანს არ მოსწონდა ის ყმაწვილი კაცი, როცა ჩაფიქრდებოდა ხოლმე მის სიტყვებზედ; ის მიაჩნდა რაღაც სხვა კაცათ, დაკარგულათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს მარტო ომის დროს არსებობდა. დღე არ ციელის, რომ სხვა და სხვა ადგილს რამოდე-ნამე საპოლიტიკო მიტინგი არ შესდგეს. უვე-ლოფრით სჩანს, რომ ორივე პარტიები ძალით ეთანასწორნი არიან და ენერგიით ვერც ერ-თი ვერ დასძლევს მეორეს. მაგრამ რადიკა-ლების პარტია მოწინააღმდეგე პარტიაზედ უფ-რო კარგათ არის გამოწყობილი. იმას დარჩა ყველა მეტად კარგი დაწყობილება, როგორიც ჰქონდა ომიანობის დროს. კონსერვატიული პარტია კი უფრო გვიან გამოეწყო. დემოკრა-ტებს და ზომიერს რესპუბლიკელებს რაღაც თანაკილებად ერთად მოქმედება. ისინი გაჭირ-ვებულს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილ-ნი იმისთვის, რომ ჯერ მასუკან ნახევარს ვერსაც არ გაუყლია, რაც ისინი იყვნენ ერ-თი ერთმანეთის მტრები და ერთმანეთი კბი-ლით დასაგლეჯათაც არ შურდათ. ჩვენმა მკი-თხველებმა კარგათ არ იციან, თუ რისგამო ხდება ბრძოლა პარტიებს შორის. კონსერ-ვატორები ითხოვენ, რომ სამხრეთელი შტა-ტები შეირიონ კავშირში და იმათი წარმომა-დგენლებიც კონგრესში მოუწოდონ. რადი-კალები მხოლოდ იმ პირობით გახდებიან ამა-ზედ თანახმა, თუ რომ სამხრეთელები დასთა-ნახმდებიან იმ ცვლილებაზედ, რომელიც მო-და კონსტიტუციაში. არც ერთი სამხრეთის შტატი თავის ნებით არ დასთანახმდება ამ პირობაზედ.

ამბავი ნუ-ორლეანის უწესოებაზედ ამერიკაში. შეერთებულის შტატების მმარ-თებლობამ შეკრიბა ყოველ-გვარი ცნობა იმ ამბისა ნუ-ორლეანში. ამ ცნობებიდამ ცხადად სჩანს, რომ ქალაქო მთავრობის ბრალი ყოფილა ნუ-ორლეანის აღრეულობა, რომლის გამო ქა-ლაქი ჯარით შემოზღუდეს. საქალაქო მთა-ვრობას უნდოდა უკანონოთ გაეძევნა რადი-კალების კონვენტი. ის არ დაუმორჩილდა სა-ქალაქო მთავრობის ბრძანებას და ამის გამო ხან გასცა ბრძანება, რომ ის სადგომი, სა-დაც კონვენტი იყო შეყრილი, იერიშით აე-ღოთ და პოლიციელებს უბრძანა, რომ უმო-ყალოდ დახოცონ კონვენტის წევრები.

ენერალი შერიდანი თავის მოხსენებაში პირდაპირ აცხადებს, რომ ნუ-ორლეანის წესობა სულ უფ. მონროეს ბრალი იყო. ომიანობის დროს მონროეს მოწინააღმდეგე-ს მხარე ეჭირა. შერიდანი ამბობს, რომ მონროემ წინათვე მოახდინა განკარგულება, რომ დაეხოცნა თავისი მემამულენი და ამის-თვის ის კიდეც ითხოვს, რომ სამსახურიდამ დაყაყენონ ეს „ბოროტი კაცი“. პრეზიდენ-ი ამისთანა განცხადებაებს აქამომდე ყურ-ც არ უგდებდა. ის არ აბეჭდინებდა ნუ-ორლანიდამ გამოგზავნილს ტელეგრამმებში ამბებს, რომელიც ამტყუნებდა სამხრეთე-ლებს. ამ გვარს ყოფა-ქცევას პრეზიდენტი-ს რასაკვირველია ნეგრების თავისუფლე-ს მომხრენი სახეში იქონებენ, რომ აც-ბონ კონგრესისათვის დეპუტატების არ-მჩრჩევლებს. ამგვარი არმორჩევა მალე უნ-დაიწყოს ყოველს შტატებში; მომავალი ე ამერიკის რესპუბლიკისა ბევრშია დამოკი-დებული ამ არმოჩევაზედ.

უ. ჯონსონი ამ უკანასკნელს დროს წა-და ჩრდილოეთის შტატების დასაველელათ, თომც იმ გახზრახვითა, რომ უნდა დაეს-ოს იმ ძველის ურთხევაზედ, რომელიც ართეს ჩიკაგოს ქალაქში სტეფანე დუგ-ასის პატივის საცემად. მაგრამ ნამდვილად უფრო იმისთვის განემგზავრა უფ. პრეზი-ენტი, რომ იმის მოწინააღმდეგებს დაუშა-ოს ხალხის შეგონება. პრეზინდენტს თან-ლავან სახელმოფო მდივანის თანაშემწე უ. ორდი და ღენერალი ბრანტი, რომელიც ის სარდალი მთელის ჩრდილოეთის არმიისა.

სალიტერატურო ნაწილი.

პარიჟი ამერიკაში.

(გაგრძელება).

არც კი მინდოდა შესვლა, მაგრამ მაინც უნებურად შევედ დიდს ზალაში. საზოგადოთ მე ძალიან მძაგს უგუნურება, მაგრამ ჩემდა სასირცხვილოთ ამ ჟამად უნდა გამოვტყდე, რომ როგორც კი ფეხი შევდგი პატიოსანს სადგომში იმავ წამს მოვიხიბლე.

მე მოვხვდი ვრცელს ოთახში, სადაც ჰაერი და სინათლე შედიოდა ფიდის ფანჯრებიდამ; ოთხი კედლები სამაგალითოთ წმინდათ იყ-ვნენ, ადგილ-ადგილ ზედ გამოყვანილია მხა-ტერობანი, რომელნიც წარმოადგენენ ან ბუნების არსებებს და საგნებს ან ფიზიკურს და გეომეტრიულს ნახატებს. ყოველს ყმა-წვილს თავისი ადგილი ეჭირა სტოლზედ და სხვა ყმაწვილებთან ოთხის გადაჯვარედინე-ბულის გზით იყო გაცალკევებული. ყმაწვი-ლი იჯდა ამ ლაქ-წასმულს სტოლზედ, რო-მელიც სარკესავით ბრწყინავდა, და იყო თავის თავის ბატონი. თუ ვინიცობაა ყმაწვილი გარეწროპას და ზარმაცობას დაი-წყებდა, ამ შემთხვევაში ყოველთვის ყმაწ-ვილს ეკუთვნოდა ბრალეულობა. მასწავ-ლებელი იჯდა მაღლობს ადგილზედ და ერთ-ბაშათ შეეძლო თვალის გადაველება ყმაწვი-ლებისთვის. მაგრამ ზედამხედველობა საჭირო არ არის ყმაწვილებისთვის, რომელნიც არიან პატივის-მოყვარენი და თვითოეული ცდი-ლობს სიმდიდრის და უფროსობის მოპოვებას. ამერიკელებს თვით თავიანთი ბოროტებაც უფრო კარგათ ემსახურება, მინამ ჩვენ ჩვენი კეთილ-მოქმედება. დიდ ზალაში კი მასწავ-ლებლათ ჩემი სუსანნა იყო. ამ დროს ეს მანდილოსანი უხსნიდა რაღა ყმაწვილს გეომე-ტრიას და უნდა ვსთქვა, რომ ყმაწვილები ისეთის გულ-მოდგინებით ისმენდნენ თავის მოძღვრის სიტყვებს, როგორიც შეეფერება მშვიდობიანს და მოძღვრის მოყვარულს ყმაწვილებს.

ერთს პატარა ზალაში დინა(*) რაღა წლისა და ცხრა წლის ყმაწვილებს ჰკითხავდა ფრან-ცის დიდისა და მცირე წულების მიმდინარეო-ბას. მე გავშტერდი იმათის მეხსიერებით და ცოდნით. მე ვიყავი ფრანცუზი და ჩემ-თვის რომ ეკითხნათ ამერიკის წულები მე კი სამის წულის მეტი არ შემეძლო დამესახელე-ბინა: მისისიპი, მუძთნი და პოტომაკი, იმის-თვის რომ არაოდეს მეტი არ უსწავლებიათ ჩემთვის.

გეოგრაფიის შემდეგ მოჰყვნენ ხმა მაღლა წიგნისა და ლექსების ზეპირად წაკითხვას. ცხრა წლის ყმაწვილი აღგა და წაგვიკითხა ერთი საუკეთესო პოეტური თხზულება ამე-რეკლის პოეტის ლონგფელოსი. თუმცა ეს ყმაწვილი—რასაკვირველია ცოტათ ცხვირში ლაპარაკობდა (ეს არის ნაკლულევანება ყველა ამერიკელებისა), მაგრამ ლექსი მაინც დიდის და ჭეშმარიტის გრძნობით წაიკითხა პაწაწამ. პოეზიის შემდეგ მჭევრ-მეტყველობაში გაერ-თვენ. წითელ-თმიანი ყმაწვილი წამოდგა, ფე-ხი გვერდზედ გადგა და განცხოველებულის ხმით შეამკო ამერიკა.

„მეგობარნო და მოქალაქენო!“

„თქვენ ჯერ კიდევ ყმაწვილნი ხართ, მაგ-რამ მაინც პირველი ხალხი ხართ მთელს ქვეყანაში. ვინ იყო გმირი წარსულს საუკუ-ნეში უდიდესი და საუკეთესო კაცი, რომე-ლიც იყო ერთგული თავის ქვეყნისა. მთელი ქვეყანა მოგიბებთ: ეს იყო ვიორგი ვაშინ-გტონი, ამერიკელი. ვინ იყო იმ დროს უდი-დესი ფიზოკოსი?—ფრანკლინი, რომელიც არის ამერიკელი. ვინ არის ჩვენს დროს უდი-დესი ღვთის-მეტყველი? ჯონატანი ედვარსი ამერიკელი. ვინ არის უდიდესი სჯულის მცოდნე მეცხრამეტე საუკუნეში? მსაჯული სტორი, ამერიკელი? ვინ არიან ჩვენ დროში პირველნი ორატორნი? კლეი, ვებსტერი ევ-ერეტი, სომნერი, რომელნიც არიან ამერიკე-ლნი. ვინ არიან პირველნი ისტორიკოსნი? პრესკოტტი, ბანკროფტი, ლოტროპ-მოტ-ლეი, ტიკნორი, რომელნიც არიან ამერიკელ-ნი. ვინ არის პირველი ბუნების-მეცნიერი? ჯემსი ოდიუბონი, ამერიკელი. ვინ არიან უდიდესნი მორალისტები და ნამდვილი ბრძე-ნები ჩვენის საუკუნისა? კონნინი, ემერსონი, პარკერი, სულ ამერიკელები. ვინ არის ჩვენს დროში პირველი და გამოჩენილი რომანის-მწერალი? მანდილოსანი ბიჩერ-სტოუ (*); ესეც ამერიკელია. ვინ არიან უდიდესნი გა-მომგონებლები? ვიტნეი, ფულტონი, მორზე, მორი. ვიტნეიმ ბამბის გასაპენტი მაშინა მო-იგონა; ფულტონმა—ცეცხლის გემი, მორზემ —ელექტროს ტელეგრაფი, მორიმ უჩვენა ზღვაში უცნობი გზები: ესენი სულ ამერი-კელები არიან.

ბანემტკიცენით, ძენო პურიტანთა! მომავა-ლი თქვენია. იცოდეთ, რომ მინამ ერთი სა-უკუნო გავიდოდეს, თვენ ასი მილლიონი იქნებით. რა იქნება მაშინ თქვენთან ევროპა, დამონავებული და ათას ნაწილად გაგლეჯი-ლი? ბუნებამ მოგცათ თქვენ უდიდესნი ტბე-ბი, უდიდესი წულები, მშვენიერი ნავსადგო-მები. თქვენა გაქვთ დიდათ ნაყოფიერი მიწა, რომელიც არას დროს არ შემოგაკლდებათ. თქვენს ქვის-ნახშირის მაღარებს ფრანციის ტოლა ალაგი უჭირავს. ხელოსნობამ მოგ-ცათ თქვენ იმდენი რკინის გზები, იმდენი ცეცხლის გემები, იმდენი ხომალდები, რამ-დენიც არა აქვთ ყველა სახელმწიფოებს ერ-თად. თქვენი ხალხი სხვა ხალხებზედ უფრო მეტად გამბედავია, მამაცი და ხერხიანი მთელს ხმელეთზედ; თქვენი ქალები უმშვენიერესნი არიან მთელს ქმნილებაში! ბანემტკიცე, ერო, ღვთის მიერ ნაკუთხო. ქვეყანა შენ გეკუთ-ნის, იმისთვის რომ შენა ხარ ყველა ხალხ-ზედ მომეტებულად თავისუფალი.

—საყვარელო მეგობარო, უთხარი მე ბი-უმბიუგს, სხვა სათნოებაებს აგრდა, რომლე-ბსაც თქვენ ყმაწვილნს ასწაელით, ხომ არ ივიწყებთ სიმშვიდეს.

—ნუ იქნებით სასტიკი გამკიცხავი, დოქ-ტორო, მომაგო იმან. ცუდი არ იქნება, რომ ყმაწვილებში განაღვიძოს კაცმა მამულის-სი-ყვარული. ეს ერთი ღონის-ძიებაა იმისთვის, რომ მერმე ეგოიზმმა (თავის-მოყვარეობამ) თავი არ წაართვას კაცს. მე უნდა გითხრათ, რომ ჩვენ თავ-მომწონენი ვართ და ეს შეა-დგენს ჩვენს ცუდს მხარეს. ჩვენი გასაკვირ-ველი გაძლიერება ჩვენ ტვინს გვითამაშებს და შეგვიყვანს ხოლმე ბევრს შეცდომაში. მაგრამ ვის არა აქვს ეს ნაკლულევანება? ვინ დაიკვეხებს, რომ ის უმანკო იყოს ამასში. ანგლია დარწმუნებულია, რომ ეს ზღვის მე-ფეა; ფრანციის ჰაბუკნი ყოველთვის ამას იმ-ეორებენ, რომ ფრანცუზის ხალხი პირველი ხალხია მთელს დედა-მიწის ზურგზედ და ქვე-ყანას იმისთვის აქვს თვალები, რომ გაოცე-ბით და დიდის აღტაცებით უმზიროს იმის დიდებას და ძლიერებას. ეს არაფერია კიდევ. ყველა ხალხი ისე ფიქრობს, რომ იმაზედ უკეთესი, ძლიერი და განათლებული არსად არ მოიპოვება მთელს ქვეყანაზედა.

—ფრანცუზებსა და სხვებს შუა დიდი გარ-ჩევაა, წამოვიძახე მე! ფრანცია არის ფრან-ცია.

—ამერიკაც—ამერიკაა, მიპასუხა იმან სი-ცილით. ყველა ცივილიზაციის მქონე ხალხს აქვს ეგ უგუნურება. ისეთი უგუნურება არ იქნება, რომლისადმიც არ შეიძლებოდეს ხა-ლხის გატაცება, ოღონდ კი უთხარით იმათ: „ანგლიელებო! ცარცვეთ რაც შეეძლოთ ხა-ლხი: იმისთვისა ხართ კიდეც ანგლიელები! ფრანცუზებო! იჩხუბეთ, რაც შეგეძლოთ: იმ-ისთვისა ხართ კიდეც ფრანცუზები. ამერიკე-ლებო: რაც შეგეძლოთ შეუპოვრად მოექე-ცით ევროპიელებს: იმისთვისა ხართ კიდეც ამერიკელები!—ჩემო მეგობარო! ნურაფერს ნუ დავიზოგავთ აღზრდისათვის. მოვფინოთ ყველგან ნათელი. ბავავრცელოთ განათლე-ბა! უამისოთ ხალხს ჩქარა მოატყუებს და თვალებს აუბამს ყოველი ვერაგი კაცი, რო-მელიც ერთ-ბეწვათაც არ აფასებს ხალხის დიდს და მაღალს წადილს და იმის კეთილ-შობილის გულისთქას.

ამ დროს დაჰკრა საათმა. მოვიდა რეკრეა-ციის დრო. მე გავეშურე მინდორში, სადაც დამხვდა მე ნაამანი, რომელიც გამხდარიყო წინამძღვარი ახალის მილიციისა. სამას ოთხ-ასი ყმაწვილი რაზმებათ და რაზმებათ იყო დამწკრივებული; ერთს მხარეზედ იდგნენ ქა-ლები, მეორეზედ—ვაჟები. დადგეს და გამარ-თეს ფორტეპიანო. აი სუსანნა უკრავს ოლ-ერონის მარშს, და რაზმები წყობა-და-წყობა მიხტიან, მირბიან და შეჩერდებიან. წრე ხან გაიშლება, ხან ისევ შემოკრბება ერთად—მრგვალად. ეს იყო გიმნასტიკა და თამაშობაც ერთმანეთში არეული. ეს ვარჯისობა კა-ცის თვალისთვის საამური საყურებელი იყო. ამ ვარჯისობაში ახოვნებაც ჩანდა და სიმარ-დეცა. ძველად ბერძნებიც ასე არა ზრდიდნენ თავის ახალ-გაზდობას? აქ პირველად მიეხ-ედი, რათ სდომებია პლატონს, რომ თამაშო-ბა და მუზიკის ცოდნა ყოველ მოქალაქის მოვალეობათ უნდა გამხდარიყო? მე საშინ-ლად ვიყავი აღტაცებული და რომ ჭალარიანი არ ვყოფილვიყავი და ან რომ არ მცხვენი-ყო, უეჭველად მეც გავერეოდი ამ სამხედ-რო თამაშობაში. ვითომ რა უჭირდა, რომ ყმაწვილებში მე თამაშობა დამეწყო. ბანა სპარტელებიც ასე არ იქცეოდნენ.

—ჩემო ჭაბუკო მეგობარო, ეუთხარი ნა-ამანს, ოჰ, ეს რა კარგი რამ სანახავია. ჩემი გული გამხიარულდა ამის ნახვითა. მაგრამ გთხოვ მაინც გამომიყვანო ჩემის ეჭვიდგან.

—სად ვარ? აქ სად მომიყვანეს? ეს მშვენი-ერი სახლი, ეს სტოლები, რომელნიც ასე მდიდრათ არიან გაკეთებულნი, ეს მეტად მშვენიერი წიგნები, რომლებიც მშვენიერის ტყავის ყდებით არიან შეკრულნი, რა საკვირ-ველია ყველა ესენი ეკუთვნიან კერძოობითს შკოლებს, სადაც ალბათ მარტო მდიდარს კაცის შვილებს ზრდიან? ვინ არის ამ საკვი-რველის სასწავლებლის დირექტორი?

—თქვენ სულ ხუმრობთ, დოქტორო, მო-მიგო ლამაზმა პასტორმა. თქვენ ხართ ელე-მენტარულის (პირველ-დაწყებითის) შკოლაში, რომელიც იმყოფება მესამე კვარტალის მე-თორმეტე ნაწილში. ამ გვარი სახლი ჩვენს საყვარელს ქალაქს პარიჟში ოთხმოცია და ეს კიდევ ცოტა არის.

—ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ღარიბ-კაცის შვილს რა რიგათ შეუძლიან ამისთანა მშვე-ნიერს სასწავლებელში შვილის მიცემა? სადა აქვს შეძლება, რომ იმათ იმდენი ფული აძ-ლიოს, რამდენიც ამ შკოლას შეჰფერის.?

—თქვენ საიდამ მოსულხართ? ნაამანმა შემოყვირა. ბანა არ იცით, რომ აქ უფუ-ლოდ სწაელობენ? ბანა თქვენ არაოდეს არ მოგისაზრებიათ, რამდენს ხარჯს იხდით სახე-ლმწიფოსთვის? ჩვენ ვართ იმ პურიტანების

(*) ბიჩერ-სტოუმ დასწერა ერთი მეტად შესანიშნა-ვი რომანი, რომელსაც ეწოდება „ბიძია ომას ქოხი“. ამ რომანში ავტორი გამოხატავს დამონავებულის ნე-გრების ცხოვრებას, იმათ ტანჯვას, მწუხარებას და სისაწ-ყლეს. ამ რომანში კაცი ნათლად ხედავს, რა ნაირად ულვთოდ და უსჯულოდ ეპყრობა იმას თავისი მებატო-ნე. ჩვენ ცხადათ ვსცნობთ, რომ ამ საწყლის ნეგრის მდგომარეობა პირუტყვზედ უარესია.—ჰხედავთ, მკითხვე-ლო, თავით თავისუფალი ხალხი, ისეთი თავისუფალი, როგორიც არა ყოფილა ჯერ ქვეყანაზედ, არ ასცდა ამ სა-შინელს, ბინძურს და უსაძაგლეს სენს, რომელსაც არა ვი-თარი კაცური ხასიათი არ აძევს. მხოლოდ უკანასკნელმა ომმა მოსპო ეს სენი, თუმცა ის ძირით ჯერ არ ამოუხვრილა. სასწორი ხან აქეთ სძლევს და ხან იქით. რადიკალებსა და სპილენძ-გოგრიანებს შორის დღითი-დღე მატუ-ლობს ბრძოლა და მტრობა. ჯონსონი, რომელმაც ჩქარა გამოიჩინა სპილენძ-გოგრიანობა, თავისის უგუ-ნურის ქცევით მით უფრო აძნელებს საქმეს. ნეტა, რო-დის ამოისუნთქავს კაცობრიობა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ!

(*) ესეც მასწავლებლად იყო შკოლაში.

შეილები, რომელნიც, როგორც კი გამოვიდნენ უნაყოფო პლიმუტის რიყეზედ, იმავ წამს შეუდგნენ შკოლების დაარსებას, რომ უგუნურება განეკურნათ. ჩვენ ძლიერ გვიყვარს შკოლები. შმეტესი ნაწილი ჩვენის გამონაღებისა სულ შკოლებს ეხმარება და ამის გამოც მომეტებულია ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი (შემოსავალ-გასავლი). განათლებულს ევროპის სახელმწიფოებში რაც ჯარსა და ფლოტს უნდება, ის ჩვენს ქვეყანაში შკოლებისთვის არის გადადებული. აქ მასსაჩუზეტსის შტატში მეოთხედი ნაწილი საერთო გასავლისა სულ შკოლებს უნდება. პატარა შტატში შკოლებს ეხმარება საზოგადო გასავლის მესამედი. შედარებით რომ ჩავაგდოთ, შრანციას ამ ანგარიშით ყოველს წელიწადს უნდა მოუნდეს ხოლმე განათლებისთვის ოთხასი მილლიონი ფრანკი

—ღმერთო ჩემო, თუ ეს ხალხი ჭკუა შეშლილი არ არის, მაშინ ჩვენ რა ვიქნებით ქვეყანაზედ? მითხარით, უ. ნაამან, ვინ აძლევს ამდენს ფულს და ან როგორ განიგებიან თქვენი შკოლები?

—საზოგადოება, იმან მომიგო. მთელი ხალხი განსაზღვრავს შეძლებისა მებრს ფულს, რამდენიც გამოღებით უნდა შესდგეს. შკოლებისთვის არავინ არ დაზოგავს ფულს და არც ერთი სახელმწიფო ხარჯი ისე სასიამოვნოთ არ მიაჩნიათ, როგორც შკოლებზედ ხარჯი. ამ შემთხვევაში პარტიები არსებენ ამერიკაში. ყველა ჯიბრში უდგა ერთი ერთმანეთს, რომ როგორმე ჩვენი შკოლები უფრო მდიდარი და ყველაზედ უკეთ შემკული იყვეს ყოველი გვარის სამოსწავლო საგნებითა მთელს მხარეში.

—უეჭველად ყოველი სარწმუნოების ამღიარებლებს უნდათ, რომ შკოლაში თავის სარწმუნოება უაღრესი გახადონ?

—არა, იმან მითხრა. იქნება ეს გვიკვირდეთ, მაგრამ არც ერთს გვარს ეკლესიას არ შეუძლიან, რომ შკოლის ყმაწვილებზედ გავლენა ჰქონდეს. სწავლება დაიწყება „მამაო ჩვენოთი“ და ბიბლიას კითხვითა. არავითარი ახსნა და ბაასი არ მიჰყვება იმის კითხვას. სწავლება უნდა იყოს ქრისტიანული, როგორც თვით ჩვენი მასწავლებლები იტყვიან. სწავლება არც კათოლიკურია და არც პროტესტანული. ჩვენ აქ ვაძლევთ ჩვენ-შვილებს ღონის-ძიებას, რომ იმათ მოძებნონ ჭეშმარიტება. ჩვენ იმათ ვამზადებთ პატიოსანის ღვაწლის დასადებათ. სარწმუნოების სწავლება ეკლესიაზედ და კვირის შკოლებზედ არის მინდობილი. ამ სახით ჩვენ არას ფრით არ შევარყევთ ყმაწვილების გამოხატულებას და ვასწავლით, რომ ძმასავით მიაჩნდეთ იმათ ერთი-ერთმანეთი და ერთმანეთს ძმებსავით უყურებდნენ.

—კარგი, მაგრამ ვინ იცის რა გვარნი არიან თქვენი მასწავლებელნი?

—აღმზრდელი კამიტეტი ადევნებს იმათ თვალ-ყურსა, მიპასუხა ნაამანმა.

კამიტეტი, რომელსაც აღმოირჩევენ ყველა საზოგადოების მოქალაქენი და რომელიც იმყოფება ცენტრალურის სახელმწიფოს გამგეობაში. ამ კამიტეტში იმყოფებიან წევრად სახელმწიფოს შესანიშნავი კაცები. ყმაწვილების აღზრდაზედ ზედამხედველობა შეადგენს ყოველი კაცისთვის დიდს დიდებას. ჩვენმა უკეთესმა მოქალაქეებმა ბორაცი მანნიმ, ბარნარდიმ არ მოინდომეს სენატში წევრათ ყოფნა: იმათ უფრო ის ირჩიეს, რომ დარჩომილიყვნენ ჩვენის შკოლების დირექტორად მასსაჩუზეტსში და კონექტიკუტში.

— ეს შეუძლებელი საქმეა! წამოვიძახე მე.

— აქ რა არის გასაკვირველი? მიპასუხა აბალგაზდა მღედელმა. იქნება თქვენ ჰფიქრობდეთ, რომ იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, შეიძლებოდეს კითხვა, თუ რა შეადგენს ხალხის კეთილ-დღეობას და დიდებას.

იმისთანა რესპუბლიკაში, როგორიც ჩვენია, უნდა დავსთრგუნოთ უმეცრება, ან არა და გაეხდეთ იმის მსხვერპლად. ოჩში უთუოდ ერთი უნდა იყოს. რომ აღვზარდოთ ხალხი, ისეთი ხალხი, რომელსაც სწამს და უყვარს ჭეშმარიტება, ჩვენმა პოლიტიკებმა იპოვეს მხოლოდ ერთი ღონის-ძიება: ეს არის განათლება. ჩვენ იმასა ვცდილობთ, რომ უბრალო მოქალაქე იმოდენათ გავანათლოთ, რომ არავის არ შეეძლოს იმისი მოტყუება. ეს საკმაოა, რომ ხალხმა თავისთავად განაგოს თავისი საქმე.

— ვითამ თქვენ კი ეგ საქმე ეგრე წარმართეთ?

— დიახ, სთქვა იმან. ეგ საქმე მაშინ წარიმართა, როცა ჩვენში დაწესეს შკოლები, რომლების შენახვაც ასე კარგია და რომლებიც უფასოდ ასწავლიან ყმაწვილებს, ისე, რომ ისეთი მამა არ გამოჩენილა, რომელსაც თავის შვილის სწავლების უარი ეთქვას. როცა საზოგადოება არ იზოგავს ყმაწვილებისთვის არც სწავლას, არც წიგნებს, არც ქალალდს და კალმებს, ვინ იქნება ისეთი უჭკუო და უგუნური, რომ არ ისარგებლოს ამ ხალხის სიუხვით და განწიროს თავისი შვილები სამუდამო უმეცრებისთვის და სისაწყლისთვის!

— იმედი მაქვს, ვსთქვი მე, რომ თქვენში აღზრდა შეადგენს ყველა კაცის მოვალეობას. შემდეგ ამ გვარის თავ-გადადებისა, სახელმწიფოს ნება აქვს ძალა დაატანოს ყველა კაცს, რომ უსწავლელი არ დარჩეს. ის ვერ შეიწყნარებს სრულიად უსწავლელს კაცებს.

— ჩვენ განვაგდეთ ყოველ-გვარი ძალდატანება, მიუგო ახალგაზდა პასტორმა, იმისთვის კი არა, რომ ჩვენი სიმართლე საეჭვოდ გვქონდეს. ჩვენ შეგვეშინდა, რომ არ შეგვეკავშირებინა კეთილ-მოქმედება საზიზღარს ძალადობასთან. ჯარიმა და საპყრობილე შეაძულებდა ჩვენს ხალხს შკოლებსა. ჩვენ ეგ არ გვინდა. ეგ სხვების საქმეა. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ საზოგადო აღზრდა დაეამყაროთ. ჩვენ ისე მოვახდინეთ ეს საკვირველი საქმე, რომ თავისუფლებას არ შევხებივართ. ჩვენი შკოლები თექვსმეტს წლამდის ყველა ყმაწვილისთვის კარგაღებულია და იქ მოისწრაფიან იმისთანანიც, რომელნიც სრულებით თავისნებისანი არიან. ახალს ანგლიაში ერთს მოქალაქესაც ვერ ნახავთ, რომ ჩვენს შკოლაში სწავლა არ მიეღოს.

— ყოჩაღ! წამოვიძახე მე. აი ღვაწლი, რომელიც აძლევს უდიდესს ღირსებას მთელს ამერიკის ხალხს.

— ამისთანა ჩვენმა მოქმედებამ ასეთი ნაყოფი გამოიღო, რომელმაც უნდა გაიტაცოს ახალი ხალხები. ჩვენის შკოლების სისრულითა ჩვენ აღვადგინეთ საზოგადო აღზრდა, რომელიც ასე ძვირფასი აყო, ძველს დროში (საბერძნეთში). ჩვენი აღზრდა იმდენათ მაღალია, რომ მდიდარის კაცის შვილს კოლლეგიაში გზას უჩვენებს და იმდენათ მარტივია, რომ არც ღარიბის-კაცის შვილს ეშინიან იქ შესვლა. აგრეთვე იმდენათ საფუძვლიანია, რომ არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას საზოგადოებაში და არც შერცხვება თავის უმეცრებისა. აქ მთელი ახალგაზდობა—(ეს სიტყვა კარგათ შეიგნე) მთელი ახალგაზდობა შემოდის, რომ ისწავლოს წერა-კითხვა, არითმეტიკა, გეომეტრია და მხატვრობა. ამასთანავე ჩვენ ვასწავლით ცოტაოდენათ გეოგრაფიას, ისტორიას, ფიზიკას და ხიმიას და არც გვეშინიან, რომ ყმაწვილებს დაუწყოთ ლაპარაკი ზნეობაზედ და პოლიტიკაზედ. ჩვენ აუხსნით იმათ სახელმწიფოს დაწყობილებას იმისთვის, რომ ისინი მოქალაქენი არიან. რადგანაც ჩვენი სწავლება საფუძვლიანი და ნაყოფიერია, ამისთვის მილლიონერის შვილი მოდის და ისმენს ჩვენს სიტყვებს ირლანდიელის მუშის შვილთან ერთად. აი შეხედე იქ, მე ვხედავ ერთს ბრინის ქალსა, რომელიც ეთამაშება ღარიბს ქალსა, რომლის დედაც კაკლითა ვაჭრობს. ახალთავობის განათლება შეადგენს ხალხის განათლებას. აი ეს არის პირველი ჩვენი წადილი და ამის გამო ჩვენი შკოლები არიან ყველასგან საყვარელნი და ყველასგან პატივსაცემნი.

— ეს სულ კარგი, მაგრამ ერთი კიდევ მინდა გითხრათ. როდესაც თქვენ გაანათლეთ უბრალო ხალხის ყმაწვილები, რათი იცით, რომ თქვენ იმათ შეუფერებელი აზრები არ ჩააგონეთ? რათი იცით, რომ თქვენ საზოგადოებას არ შესძინეთ იმისთანა კაცები, რომელნიც არ არიან კმაყოფილნი თავის ბედისა? რათი იცით, რომ თქვენ იმათ არ გაუღვიძეთ იმისთანა სურვილი და საჭიროება, რომელიც არ შეესაბამება იმათს შეძლებას?

— თქვენ მართალი იქნებოდით მაგ სიტყვებში, როდესაც ჩვენ ყმაწვილებს დავითხოვდით ამ სახელმწიფოებიდამ და შემდეგ იმათ სრულებით თავს გავანებებდით; მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვენი საზოგადოება და ჩვენი მმართებლობა არის ორი დიდი შკოლა, რომლებიც არაოდეს არ დაიხურვიან. ერთის მხრით ყველა დაწინავებული კაცები და ყოველივე, რაცკი გვაქვს განათლების წყარო, ყველა ესენი დიდ-ღირსებად მიითვლიან, რომ მოქალაქეები აღზარდონ. ერთი საღამოც ისე არ გაივლის, რომ ან საპოლიტიკო, ან სალიტერატურო და ან სამეცნიერო ლექცია არ წაიკითხონ. ნათელი უხვად მოიფინება ჩვენში. ორჯელ ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ჩვენში უგუნური დარჩეს. ამას დაუმატოთ პოლიტკური ცხოვრება, რომელიც განაცხოველებს ყოველს გვარს აზრებს და გაანაყოფიერებს ყოველის კაცის გულს. არ არის არც ერთი ამხანაგობა, არც ერთი საზოგადოება და არც ერთი კაცი, რომელსაც თავისი ჟურნალი არ ჰქონდეს. თავის შესაფერი ჟურნალები ყმაწვილებსაც კი აქვთ. ვინ იქნება იმისთანა, რომ ამ განათლების ნაკადულმა არ გაიტაცოს, რადგანაც ის მომავალში უქადის უკეთესობას.

— მაშ თქვენ მეცნიერებსა ზრდით?

— არა, უთხრა ახალგაზდა პასტორმა. ჩვენ ჯერ კიდევ იმოდენი მეცნიერება, ხელოვნება და სიმდიდრე არა გვაქვს, რამდენიც ძველს ხალხებს. ჩვენ ჩვენთავად ვსწავლობთ. იქნება მთელი საუკუნეც გავიდეს, მინამ ჩვენ მოვიპოებდეთ იმდენს თავისუფალს დროს, რომ უანგაროთ და თავ-განწირვით მიეცეთ სწავლას. მაგრამ ამასაც კი ვიტყვი, რომ ჩვენ-ვართ ხალხი, რომელიც საზოგადოთ ყველა ხალხზე უფრო განათლებულია. აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ: აქ თქვენ გლეხს ვერ იპოვით: აქ ფერმერები არიან, აქ მუშების მაგივრად ხელოსნები არიან. როდესაც აქაური მჭედელი თავის სამჭედლოდამ გამოვა, ის ჩაცვამს ფრაკს და წავა ლექციის მოსასმენად ან ვაშინგტონზედ და ან ლივინგსტონზედ, რომელმაც აღმოაჩინა ახალი ქვეყნები აფრიკაში. მისი მეზობელი ოქროჭედელი ან წავა სამხატვრო შკოლაში და ან ხიმიას სწავლობს. თუმცა იმათი ხელი გაჭვარტლიანებულია, მაგრამ ორნივე არიან ჯენტლმენები. იმათ როგორც თქვენ, ისე უყვართ გონების გართობა. ეხლა წადით დასავლეთისკენ, თქვენ იქ მიყრუებულს ტყეში ნახავთ პიონერის (*) ოჯახობას, სადაც იმისი ცოლი პურსა ზელს და ერბოს დღევებამს. დარჩით აქ-სულ ამ და თქვენ ნახამთ, რომ იგივე ქალი დაუკრავ ფორტეპიანს; ის მოგიყვებათ ამბავს პოლიტიკაზედ, ზნეობაზედ და იქნება მეტაფიზიკაზედაც. ჩვენ არ ვაძლევთ ყველას ნივთიერებითს სიმდიდრეს, თუმცა ამ გვარი კეთილდღეობა სხვა ქვეყანაზედ უფრო ადვილად შეიძლება, რომ კაცმა ამერიკაში მოიპოვოს, მაგრამ ჩვენ ყველას იმ სიმდიდრეს ვაძლევთ, რომელსაც ქურდი ვერ მოიპარავს. ჩვენ უკანასკნელს ღარიბსაც ვაძლევთ გონიერების სიამოვნებას, რომელიც ყოველს ჟამს და ყოველს მდგომარეობაში კაცს ანუგეშებს და განამხნევებს. ამით ჩვენ გვგონია, რომ აღვასრულებთ ღვთის სიტყვას და დავაახლოვებთ ხალხს ღმერთმან, რადგანაც ვზრდით ხალხის ჭკუას და გონებას.

მე ვეუყურებდი ამ ახალგაზდა კაცს სულმღელვარებით და ვერ შევიკავე ჩემი თავი. არაოდეს არ მინახავს კაცის სახე ასე გაბრწყინებული და სავსე ამდენის აღტაცება სარწმუნოებით. ნაამანისთვის სწავლა და რელიგია (სარწმუნოება) იყო ორგვარი სახელმწიფოებისა. იმის გულისთვის ორივე ძვირფასი იყო და თვითონ იმას ორივე თანასწორად უყვარდა.

მეგობარო ჩემო, მე თქვენ დამსძლიეთ. შემუსვრილი ნათლითა, მე მოვიდრეკ თავს თქვენ წინ. ოვალნი ჩემნი აღიხილენ! მე ვარ განკვირვებული ამ ქვეყნის დიდებითა!! ეს რა შემძლე ცხოვრებაა!! გული, აზრი—ყველა თავისი მოძრაობა აქვს. არარის არა ვითარი შეუწროება და აქ არაფერს საზღვარი არა აქვს! კაცს აქ ხელში უპყრია თავისი ბედი და თავისი კეთილ-მოქმედება. აქ სუფევს სიმართლე! აქ არ არსებს ცრუ-მორწმუნება და არ არის კაცი შებორკილი. ყოველგან ისმის ხმა ხალხისა, რომლის გულიც სავსეა სასოებით. წინ წარვსდგეთ, წინ და დაუხლოვდეთ იმ ქვეყანას, სადაც სუფევს გონიერება. მე თავი მომწონს იმითი, რომ ამ საკვირველის ქვეყნის მოქალაქე ვარ! ღმერთმან გაუმარჯოს შეერთებულს შტატებს! ღმერთმან წარმატება მისცეს დიდს რესპუბლიკას!!!

კავკასიის ნამესტნიკის საზოგადო დეპარტამენტი გამოაცხადებს, რომ გაზეთს „ქაკაზში“ გამოცხადებული ტორგი, რომელიც იყო 2-სა სექტემბერს დანიშნული, გადასდვეს იმ დრომდის, მანამ ამ საქმეზედ ახალი განკარგულება არ მოხდება.

სახაზინო განცხადებანი

(Закавказскій Вѣстникъ, 1866 г. № 37.)

1) კავკასიის აქეთის პრიკაზში არის დანიშნული ტორგი პერეტორჟკით, 30 სექტემბერს, განსვენებულ ვართან არშაკუნის სახლის გასასყიდათ ფლიგელებით თურთ. ეს სახლი დგას ქ. ტფილისს, მესამე კვარტალის 1-ლს ნაწილში, ველიამინის და ხანის ქუჩებზედ. ამ ქონების ფასი შეუძლიანთ შეიტყონ პრიკაზში.

2) კამმისია, რომელიც არის დაწესებული ტფილისის გარეთ-უბნის (прѣдмѣстій) გასამიჯნავათ ქ. იმის დასწყობელად, გამოაცხადებს, რომ იმან 30 სექტემბერს დანიშნა საზოგადო დაფასებით გაყიდვა ცარიელ-მიწის ნაჭრისა, რომელიც შეიცავს 510 საჟენს იმ პირობით, რომ ეს მიწის ნაჭერი სამის წლის განმავლობაში გაშენდეს ფასადიანის სახლებითა, იმ წესთანახმად, რომელიც კამმისიამ განმარტა. ამ მიწის ნაჭრის პლანი აქვს ამ კამმისიის წევრს მიწის-მმიჯნავს უ. შედოროვს, რომელიც აჩვენებს იმას ყოველ მთხოვნელსა.

3) ზემოხსენებულმა კამმისიამ 30 სექტემბერს დანიშნა საზოგადო დაფასებით გაყიდვა ცარიელის მიწის სამის ნაჭრისა.

პირველი მიწის ნაჭერი მდებარებს ტფილისის მოქალაქის საიფოვის ბაღის მახლობლად და დანარჩენი ორი ნაჭერი კი ძევს ავლაბარში, გრენადერების ხეტორების მახლობლად. ეს მიწები გაისყიდებიან იმ პირობით, რომ სამის წლის განმავლობაში ისინი უნდა გაშენდნენ ფასადიანის სახლებითა.

(*) პიონერი არის პირველი ამერიკის მოსახლე, რომელიც გადასულა ევროპიდამ და გაუწმენდია შეუმუშავებელი ალაგი, რომ იმის შემდეგს გადასახლებულებს გაადვილებოდა იქ ცხოვრება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23-го сентября 1866 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ზ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ვენა, 1 (13) სექტემბერს. გაზეთში die freie Presse სწერენ, რომ პრუსსია თანხმაა, რომ მიანიჭოს საქსონიას თავისუფლება დიპლომატიურს საქმეებში; მაგრამ სადღრო საქმეში კი პრუსსია ითხოვს, რომ საქსონია სრულიად დაემორჩილოს იმას.

გაზეთს Debatte-ში სწერენ, რომ ფრანციის ენერგიული პროტესტი (წინააღმდეგობა) მოუცხადა პორტას იმის გამო, რომ შეერთებულს შტატებს სურთ შეისყიდონ პორტიდან ერთი კუნძული საშუალ-ქვეყნის ზღვაში. ანგლიას ამ შემთხვევაში უჭირავს ფრანციის მხარე.

ღამბურგი, 1 (13) სექტემბერს. ოფიციალურს გაზეთში გამბურგის კორრესპონდენტში ოპიციალურად გამოცხადებულია ტრაქტატი ახალის ჩრდილოეთ-გერმანიის კავშირისა, რომელიც შესდგება 79 სტატიიდგან.

აუგსბურგი, 1 (13) სექტემბერს. აქაურს გაზეთში Allgemeine Zeitung დაბეჭდილია ტელეგრამმა ვენიდგან, რომელიც აცხადებს, რომ ფელდმარშალ-ლეიტენანტი ბარონი ფონ—გაბლენცი დაინიშნა არმიაში და რომ, როდესაც, რომ ავსტრიის მმართებლობამ, თავისის ქვეშევრდომლების დასაცველად, გაგზავნა კუნძულს კანდიასთან რამდენიმე სამხედრო ხომალდი. იმის გარდა ბრძანება გაიცა, რომ შეიკრიბეს საობსერვაციო კორპუსი ავსტრიის იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრებისედ.

გერლინი, 1 (13) სექტემბერს. ბუშინდელს დეპუტატ-პალატის შეყრილობაში, იმ სამის წევრმა, უ. შულცე-დელიჩმა უსაყვედურა პრუსსიის მმართებლობას, რომ იმან კარგა ვერ ისარგებლა თავისის გამარჯვებით ავსტრიაზედ და იმის მომხრეებზედ. ბრაფმა ბისმარკმა უპასუხა ამაზედ, რომ მომავალში აიხსნება ამ საქმის წარმოება და ისიც, თუ რა შემთხვევაებს ჰქონდათ ამაზედ მოქმედება. როცა ეს ყველაფერი გამხილდება, მაშინ შეიტყობენ, რომ პრუსსიის მმართებლობამ ისარგებლა თავისის გამარჯვებით ძალიან გაბედვით.

პარიჟი, 2 (14) სექტემბერს. დღეს მონიტორში გამოცხადებულია, რომ ფრანციის მმართებლობა ნებას არ აძლევს ოსმანს და ფრიანს, რომ მიიღონ სამხედრო და საფინანსო მინისტრობა მეხიკაში, მეხიკის იმპერატორის მაქსიმილიანის თხოვნით.

ვენა, 2 (14) სექტემბერს. დღეს ათი-ნიდგან გვაცნობებენ, 25 აგვისტოდამ (6 სექტემბრიდამ), რომ ზემო—პირში ბევრი სოფლები აღსდგნენ ოსმალოს წინააღმდეგ. სამი ათასი ინსურგენტი დაეტაკა ოსმალოს ჯარს. მოკლეს 11 კაცი და დასჭრეს 250 კაცი.

ამ ინსურგენტების დეპუტატები წავიდნენ კუნძულს კორფუში იმისთვის, რომ გამოუცხადონ თავთავისი საჩივარი დიპლომატიის კორპუსს. პრუსსიის და ანგლიის ელჩები წავიდნენ საქმის გასაგებათ პირში. ამბობენ, რომ ანგლიის და ფრანციის ელჩებმა ურჩიეს პორტას, რომ ის დიდის სიფთხილით მოიქცეს, რომ საზოგადოთ მთელი ოსმალოს ქრისტიანები არ აღდგნენ იმის წინააღმდეგ.

გერლინი, 2 (14) სექტემბერს. ჯვარის გაზეთში სწერენ, რომ იტალიასა და ავსტრიას შუა შერიგებაზედ მოლაპარაკება ვერ არის კეთილ-საიმედოო.

მინისტრი-პრეზიდენტი, გრაფი ბისმარკი ხელ-ახლა გახდა ავათ ნიკრისით. ის არ გამოდის ოთახიდამ და არა ვის არა ნახულობს.

პრუსსიის კაროლი თავის ჯარს უპირებს დასაჩუქრებას ორდენების დარიგებით, მაშინ როცა ჯარი დაბრუნდება თავის მამულში. ამისთვის უნდება ამდენს ჯარსა. ამ სახით იმპერატორის ნაპოლეონის ადუტანტის გამგზავრებას ის აზრი აქვს, რომ მოსპოს ფრანციის გარევა მეხიკის სახელმწიფო საქმეში; გარდა ამისა კასტელნო იმასაც უნდა ეცადოს, რომ კარგათ დააწყოს სახელმწიფო საქმე მეხიკის იმპერიისა და მეხიკის იმპერიას არ დაჰჭირდეს გარეშე ხელმწიფის შემწეობა.

ანგლია. ანგლიის გაზეთების აზრი რუსეთის და ამერიკის დაახლოვებაზედ ერთი-ერთმანეთში. ლონდონის გაზეთის Globe სიტყვებით, ანგლიაში სრულებით ყურადღებას არ აქცევენ, რომ ამერიკის შეერთებულს შტატებსა და რუსეთს შუა მეგობრული ურთიერთობა დამკვიდრდა. გაჭირვების დროს თუ ამერიკასა და რუსეთს მოუხდათ ერთად მოქმედება, უეჭველია რუსეთი იმდენს სარგებლობას ვერ მისცემს ამერიკას, რამდენსაც ამერიკა რუსეთსა. რუსეთმა რომ განიზრახოს დიდის ოკეანის დაჭერა იმ რიგათ, როგორც ფინის უბე ხელში ჩაიგდო, მაშინ ჩრდილოეთელი ამერიკელები მეგობრობის მაგივრად მტრობას ღაუწყებენ.

ამერიკა. შენიელების მოქმედება შეერთებულს შტატებში უწინდულათ არის ანგლიელებისთვის ძლიერ სასაშიშრო. ანგლიის მმართებლობა ყოველ-დღე ჰგზავნის ჯარს კანადას. მინამ ეს ჯარი ჯერ არ მისულა ამერიკელს სამფლობელოში, ანგლიის ღენერალ-გუბერნატორმა მოახდინა განკარგულება, რომ გაუადვილოს მობილიზაცია ადგილობრივს მილიციას და ვოლონტერის პოლკებს. როგორც ღენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს მოხსენებაში გამოცხადებულია, ერთის დღე-და-ღამის განმავლობაში ოცდა ათი ათასი ჯარის კაცი შეიძლება, რომ გამოეწყოსო სალაშქროთ.

— შეერთებულის შტატების პრეზიდენტი

31.

ქართა

ლიტერატურო გაზეთი.

პირველი წელიწადი.

ხელის-მოწერა მიიღება: ბიბლიოთეკა

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. მასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

დასავლეთის შტატებში კიდევ განაგრძობს მოგზაურობას. ის ყოველგან ამბობს საპოლიტიკო სიტყვებს, რომლებსაც დემოკრატები აღტაცებით ისმენენ და რადიკალები კი სტვენით. აქ საქმე განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ ახლა აღრჩევის დრო დადგა და ამერიკის ორი პარტია შეებრძოლა ერთი-ერთმანეთს. სამს სექტემბერს ფილადელფიაში შეგროვდა კონვენტი, სადაც იყვნენ ღენერლები: ბოტლერი, ბორნსაიდი, დუგლასი და სხვები. სენატორმა ჩანდლერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც ამტყუნებდა პრეზიდენტს ჯონსონს და აცხადებდა, რომ ჯონსონი პასუხის-გებაში მიეცემა, თუ ის არ მოიქცაო სჯულისამებრ. ძნელი გამოსაცნობია, რომელს პარტიას უფრო მეტი ხმა ექნება მომავალს კონგრესში. ვერმონტის, მენის და მასსაჩუზეტის შტატებმა ამოირჩიეს რესპუბლიკელები; მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ დამტკიცდება, თუ რომელი დასძლევს, ესე იგი ჯერ არ იციან მტკიცედ აღსრულდება თუ არა მონაობის გაუქმება ყოველის კანონიერის შედგენით, რომელიც მისდევს ამგვარს გაუქმებას. იქნება ისეც მოხდეს, რომ ჯონსონმა და დემოკრატიის პარტიამ აჯობონ, რომელნიც მტკიცედ არ დასდევენ იმ სჯულის აღსრულებას, რომლის გამოც წინანდელი ომი აღიძრა.

პრუსსია. ამ ჟამად ბერლინში მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ როგორმე კარგი საბილი მოუმზადონ პრუსსიის ჯარს, რომელიც ამ ცოტას ხანს ბერლინში შევა. ამ სადილისთვის დიდი მზადება აქვთ. სამუნიციპალო (საქალაქო) რჩევა მუდამ შეყრილია და არც ერთს წამს მოცალება არა აქვს. კამისია აღარჩევს საუკეთესო ლამაზს ახალ-გაზდა ქალებს, რომლებმაც ყვავილით უნდა მოუფინონ გზები ჯარებსა. ბრანდემბურგის ალაყაფის კარებიდამ კაროლის სასახლემდე სატრიუმფო გუმბათი უნდა აღაგონ. ოცდა ხუთი ათას ჯარის კაცს ქალაქი ბერლინი უნდა გაუმასპინძლდეს. დიდს საგიმნასტიკო დარბაზში სახალხო სუფრა უნდა გაშალონ კაროლისათვის; ამ ზალაში რამოდენიმე ათასი კაცი დაეტევა. იქ უნდა მიიწვიონ სამი ათასი ჯარის კაცი. კაროლის სუფრაზე ათასი კაცი სალდათი, აფიცერი და ღენერალი ისხდებიან. ამისთანა ამბავი ჯერ არ მომხდარა პრუსსიაში. გამოანგარიშებულია, რომ სადილი დაჯდება ორმოცდა ათი ათასს ტალერად. (ეს ფული შეადგენს ორმოცდა ათი ათასს მანეთამდის). სხვა ჯარებს კი სხვა და სხვა კვარტალებში აჭმევენ სადილსა. ჯერ სხვა რიგათ უნდოდათ გამასპინძლება: უნდოდათ, რომ თითო თითო ცოტათ-შემძლე ოჯახს ოთხოთხი სალდათი და აფიცერი მიეწვია; ამ სახით ხალხი და არმია ძმურს სიყვარულს გამოუცხადებდნენ ერთი-ერთმანეთს. საზოგადოება ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა, რომ ბერლინის ლანდვერი, რომელიც ასე ძლიერ დამარცხდა ლანგელზალცის ბრძოლაში, არ გამხდარა მონაწილე ამ შეკრებაში და სხვა ჯარებთან ერთად ვერ შევა ბერლინში.

იტალია. ფლორენცია, 3 (15) სექტემბერს. როგორც სჩანს, იტალიასაც სურს გააკეთოს თავის ჯარის დაწყობილება პრუსსიის სამხედრო რიგისამებრ. გაზეთი Italie სხვათა შორის ამბობს, რომ თუმცა პრუსსიის სამხედრო წესი არ შეიძლება, რომ დაწვრილებით ყველა ევროპის სახელმწიფოებს გამოადგეს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში არც ერთი ხალხი და არც ერთი ქვეყანა იმისთანა არ უნდა იპოვებოდეს, რომელსაც დაახლოვებით მაინც არ არგოს ამ წესმა. ამის გამო მით უფრო უნდა სურდეს სახელმწიფოს ამ სამხედრო წესის მიღება, რომ იმის მიღებით სამხედრო ხარჯი ძალიან შემცირდება და თვით სახელმწიფოს არც ერთი იმისთანა ძალა არ დააკლდება, რომელიც უშიშარს ჰყოფს იმის შინა და გარეგანს მდგომარეობას. მაშასადამე ამ გვარის წესის მიღებით სახელმწიფო ორს კარგს განზრახვას შეასრულებს: ერთის მხრით იმას შეუმცირდება ხარჯი და მეორეს მხრით ჯარითაც ძალიან ძლიერი შეიქნება. „ფლორენტინის შურცელიც“ ზემოხსენებულის სამხედრო სისტემის განხილვაში ბევრს იმისთანა მხარეს უჩვენებს ამ სისტემისას, რომელნიც ძალიან საჭირონი არიან. ბაზეთი Italie ამბობს, რომ ამ სისტემას შეუძლიანო შექმნას მთელი ხალხი მხნე მეომრად. თუმცა ეს სიმხნეც არ არის საჭირო ახლანდელის განათლების გასავრცელებლად; მაგრამ მინამ ევროპა იქნება ამავე მდგომარეობაში, ესე იგი მინამ ძალა არ დაეხსნება კანონიერის სიმართლის დაჩაგვრას, საჭიროა, რომ ვიზრუნეოთ ყოველთვის ჩვენის თავის დასაცველად.

— რადგანაც ვენეციის გადაცემის დრო მოახლოვდა, ამის გამო გაზეთი Opinion აცხადებს სხვათა შორის შემდეგს აზრებსა. ფრანციის კამმისარი ვენეციის, ვერონის, მანტუის და სხვა ვენეციის მაზრის ქალაქების ციხეებს გადასცემს სამუნიციპალო (საქალაქო) მთავრობებს, იმავ წამს, როგორც ავსტრიის ჯარები დაიწყებენ იქიდამ გამოსვლას. ვენეციის მაზრა უმთავრობოდ არ დარჩება და იტალიის მმართებლობა იმავე წამს დამყარდება, რაკი ავსტრიის მთავრობა ვენეციის მაზრას დასტოვებს.

— ღენერალს ბარიბალდის ჯერ კიდევ არ გაუგზავნია თხოვნა სამსახურიდამ დათხოვნაზედ. იტალიის გაზეთში იმის ახალი ცირკულიარი არის დაბეჭდილი. ამ ცირკულიარში ის აცხადებს, რომ მთელმა ხალხმა გამოიღოს ფული და ამ ფულით გადაიხადონ ის ვალი, რომელიც 1860 წელს აიღეს ვოლონტერებმა. აი რას ამბობს ეს ახალი დოკუმენტი: „1860 წლის ექსპედიციამ და ამის გარდა სხვებმა იმავე გვარმაც, რომელნიც იყვნენ ასე სასარგებლონი სახელმწიფოსთვის, ამაღებინეს ვალი ბევრს კეთილ-შობილის და სულგრძელის მოქალაქეების იმედით.

„ბევრი ამ ვალებთაგანი დღემდისაც არის გადაუხდელი. იმის გადახდა სამშობლო ქვეყნის ვალია. მთელი სესხი ას ხუთი ათასს ფრანკამდის არის, გარდა იმ ფულისა, რომელიც შესწირეს ზოგიერთმა პირებმა და ისინი არ ითხოვენ ამ ფულის დაბრუნებას. რადგანაც ყველა მოქალაქეებს არ შეუძლიანთ მიჰბაძონ იმათ, ამისთვის მე საჭიროდ დავინახე, რომ მივიქცე მთელს იტალიის ხალხთან, რადგანაც ამ ვალის გადაუხდელობა მრავალს

შვილები, რომელნიც, როგორც კი გამოვიდნენ უნაყოფო პლიმუტის რიყეზედ, იმავ წამს შეუდგნენ შკოლების დაარსებას, რომ უგუნურება განეკურნათ. ჩვენ ძლიერ გვიყვარს შკოლები. შემეტესი ნაწილი ჩვენის გამონაღებისა სულ შკოლებს ეხმარება და ამის გამოც მომეტებულია ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი (შემოსავალ - გასაელი). განათლებულს ევროპის სახელმწიფოებში რაც ჯარსა და ფლოტს უნდება, ის ჩვენს ქვეყანაში შკოლებისთვის არის გადადებული. აქ მასსაჩუზეტსის შტატში მეოთხედი ნაწილი საერთო გასაელისა სულ შკოლებს უნდება. პატარა შტატში შკოლებს ეხმარება საზოგადო გასაელის მესამედი. შედარებით რომ ჩავაგდოთ, ფრანციას ამ ანგარიშით ყოველს წელიწადს უნდა მოუნდეს ხოლმე განათლებისთვის ოთხასი მილლიონი ფრანკი

—ღმერთო ჩემო, თუ ეს ხალხი ჭკუა შემლილი არ არის, მაშინ ჩვენ რა ვიქნებით ქვეყანაზედ? მითხარით, უ. ნაამან, ვინ აძლევს ამდენს ფულს და ან როგორ განიგებიან თქვენი შკოლები?

—საზოგადოება, იმან მოიგო. მთელი ხალხი განსაზღვრავს შეძლებისა მებრს ფულს, რამდენიც გამოღებით უნდა შესდგეს. შკოლებისთვის არავინ არ დაზოგავს ფულს და არც ერთი სახელმწიფო ხარჯი ისე სასიამოვნოთ არ მიაჩნიათ, როგორც შკოლებზედ ხარჯი. ამ შემთხვევაში პარტიები არსებენ ამერიკაში. ყველა ჯიბრში უდგა ერთი ერთმანეთს, რომ როგორმე ჩვენი შკოლები უფრო მდიდარი და ყველაზედ უკეთ შემკული იყვეს ყოველი გვარის სამოსწავლო საგნებითა მთელს მხარეში.

—უეჭველად ყოველი სარწმუნოების ამღიარებლებს უნდათ, რომ შკოლაში თავის სარწმუნოება უაღრესი გახადონ?

—არა, იმან მითხრა. იქნება ეს გვიკვირდეთ, მაგრამ არც ერთს გვარს ეკკლესიას არ შეუძლიან, რომ შკოლის ყმაწვილებზედ გაავლენა ჰქონდეს. სწავლება დაიწყება „მამაო ჩვენოთი“ და ბიბლიას კითხვითა. არავითარი ახსნა და ბაასი არ მიჰყვება იმის კითხვას. სწავლება უნდა იყოს ქრისტიანული, როგორც თვით ჩვენი მასწავლებლები იტყვიან. სწავლება არც კათოლიკურია და არც პროტესტანული. ჩვენ აქ ვაძლევთ ჩვენ-შვილებს ღონის-ძიებას, რომ იმათ მოძებნონ ჭეშმარიტება. ჩვენ იმათ ვამზადებთ პატიოსანის ღვაწლის დასადებათ. სარწმუნოების სწავლება ეკკლესიაზედ და კვირის შკოლებზედ არის მინდობილი. ამ სახით ჩვენ არას ფრით არ შევარყევთ ყმაწვილების გამოხატულებას და ვასწავლით, რომ ძმასავით მიაჩნდეთ იმათ ერთი-ერთმანეთი და ერთმანეთს ძმებსავით უყურებდნენ.

—კარგი, მაგრამ ვინ იცის რა გვარნი არიან თქვენი მასწავლებელნი?

—აღმზრდელი კამიტეტი აძლევნებს იმათ თვალ-ყურსა, მიპასუხა ნაამანმა.

კამიტეტი, რომელსაც აღმოირჩევენ ყველა საზოგადოების მოქალაქენი და რომელიც იმყოფება ცენტრალურის სახელმწიფოს გამგეობაში. ამ კამიტეტში იმყოფებიან წევრად სახელმწიფოს შესანიშნავი კაცები. ყმაწვილების აღზრდაზედ ზედამხედველობა შეადგენს ყოველი კაცისთვის დიდს დიდებას. ჩვენმა უკეთესმა მოქალაქეებმა ბორაცი მანნიმ, ბარნარდიმ არ მოინდომეს სენატში წევრათ ყოფნა: იმათ უფრო ის ირჩიეს, რომ დარჩომილიყვნენ ჩვენის შკოლების დირექტორად მასსაჩუზეტსში და კონექტიკუტში.

— ეს შეუძლებელი საქმეა! წამოვიძახე მე.

— აქ რა არის გასაკვირველი? მიპასუხა ახალგაზდა მღვდელმა. იქნება თქვენ ჰფიქრობდეთ, რომ იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, შეიძლებოდეს კითხვა; თუ რა შეადგენს ხალხის კეთილ-დღეობას და დიდებას

იმისთანა რესპუბლიკაში, როგორიც ჩვენია, უნდა დავსთრგუნოთ უმეცრება, ან არ და გავხდეთ იმის მსხვერპლად. ტრიში უთუოდ ერთი უნდა იყოს. რომ აღვზარდოთ ხალხი, ისეთი ხალხი, რომელსაც სწამს და უყვარს ჭეშმარიტება, ჩვენმა პოლიტიკებმა იპოვეს მხოლოდ ერთი ღონის-ძიება: ეს არის განათლება. ჩვენ იმასა ვცდილობთ, რომ უბრალო მოქალაქე იმოდენათ გავანათლოთ, რომ არავის არ შეეძლოს იმისი მოტყუება. ეს სჯმაა, რომ ხალხმა თავისთავად განაგოს თავისი საქმე.

— ვითომ თქვენ კი ეგ საქმე ეგრე წარმართეთ?

— დიახ, სთქვა იმან. ეგ საქმე მაშინ წარიმართა, როცა ჩვენში დააწესეს შკოლების რომლების შენახვაც ასე კარგია და რომლებიც უფასოდ ასწავლიან ყმაწვილებს, ისე, რომ ისეთი მამა არ გამოჩენილა, რომელსაც თავის შვილის სწავლების უარი ეთქვას. როცა საზოგადოება არ იზოგავს ყმაწვილებისთვის არც სწავლას, არც წიგნებს, არც ქაღალდს და კალმებს, ვინ იქნება ისეთი უჭკუო და უგუნური, რომ არ ისარგებლოს ამ ხალხის სიუხვით და განწიროს თავისი შვილები სამუდამო უმეცრებისთვის და სისაწყლისთვის

— იმედი მაქვს, ვსთქვი მე, რომ თქვენში აღზრდა შეადგენს ყველა კაცის მოვალეობას შემდეგ ამ გვარის თავ-გადადებისა, სახელმწიფოს ნება აქვს ძალა დაატანოს ყველა კაცს, რომ უსწავლელი არ დარჩეს. ის ვერ შეიწყნარებს სრულიად უსწავლელს კაცებს.

— ჩვენ განვაგდეთ ყოველ-გვარი ძალდატანება, მიუგო ახალგაზდა პასტორმა, იმის თვის კი არა, რომ ჩვენი სიმართლე საეჭვო გვქონდეს. ჩვენ შეგვეშინდა, რომ არ შეგვეკავშირებინა კეთილ-მოქმედება საზიზღარს ძალადობასთან. ზარიმა და საპყრობილე შეაძულებდა ჩვენს ხალხს შკოლებსა. ჩვენ ეგ არ გვინდა. ეგ სხვების საქმეა. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ საზოგადო აღზრდა დავამყაროთ. ჩვენ ისე მოვახდინეთ ეს საკვირველი საქმე, რომ თავისუფლებას არ შეეხებივართ. ჩვენი შკოლები თექვსმეტს წლამდის ყველა ყმაწვილისთვის კარგაღებულია და იქ მოისწრაფიან იმისთანანიც, რომელნიც სრულებით თავისნებისანი არიან. ახალს ანგლიაში ერთს მოქალაქესაც ვერ ნახავთ, რომ ჩვენს შკოლაში სწავლა არ მიეღოს.

— უოჩაღ! წამოვიძახე მე. აი ღვაწლი, რომელიც აძლევს უდიდესს ღირსებას მთელს ამერიკის ხალხს.

— ამისთანა ჩვენმა მოქმედებამ ასეთი ნაყოფი გამოიღო, რომელმაც უნდა გაიტაცოს ახალი ხალხები. ჩვენის შკოლების სისრულითა ჩვენ აღვადგინეთ საზოგადო აღზრდა, რომელიც ასე ძვირფასი აყო, ძველს დროში (საბერძნეთში). ჩვენი აღზრდა იმდენათ მაღალია, რომ მდიდარის კაცის შვილს კოლლეგიაში გზას უჩვენებს და იმდენათ მარტივია, რომ არც ღარიბის-კაცის შვილს ეშინიან იქ შესვლა. აგრეთვე იმდენათ საფუძვლიანია, რომ არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას საზოგადოებაში და არც შერცხვება თავის უმეცრებისა. აქ მთელი ახალგაზდობა—(ეს სიტყვა კარგათ შეიგნე) მთელი ახალგაზდობა შემოდის, რომ ისწავლოს წერა-კითხვა, არითმეტიკა, გეომეტრია და ბხატეროზა. ამასთანავე ჩვენ ვასწავლით ცოტაოდენათ გეოგრაფიას, ისტორიას, ფიზიკას და ხიმიას და არც გვეშინიან, რომ ყმაწვილებს დაუწყოთ ლაპარაკი ზნეობაზედ და პოლიტიკაზედ. ჩვენ აუხსნით იმათ სახელმწიფოს დაწყობილებას იმისთვის, რომ ისინი მოქალაქენი არიან. რადგანაც ჩვენი სწავლება საფუძვლიანი და ნაყოფიერი არის, ამიტომ ჩვენ ვაძლევთ ხალხს ისეთ ცოდნას, რომელიც ეკადრება მათ მდგომარეობას.